# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში,
როგორიც ბეჭდური სიტყვაა,
ტყუილებით და ჭორებით ბურთის
გატანა ყველა უკადრისობაზე
უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 2015 წელი.

№202 (7847)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




## ⑤ საქართველო: ნატოს ერთგული თუ მარადისი ასპირანტი?

## პრეზიდენტი პოლიტიკურ ცენტრს ქმნის? ③

## გადასაყენებელ-ყურასაწევი ჩინოვნიკები და დაჩაგრული დეპუტატები ④

## ქიბარ ხალვაში: პროკურატურა ვერ ახერხებს საქმის გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას ②

## რობერტ სტურუა: ყველაზე დიდ ბოროტებად ის ხალხი მიმაჩნია, ვინც ამ ავაზაკებს იცავს!



**„რატომ უნდა მიეწეროს ბოროტთა უნიჭო ვნებანი მთელ ქართველ ერს?!“,** — წერს რეჟისორი რობერტ სტურუა „facebook“-გვერდზე.

**„საიდან აღმოცენდნენ ეს ბოროტი, შხამიანი ასპიტნი: სააკა, გიგა, თენგო, გიგი, თავისი ახლობელ-ნათესავებით — თათკა, თამთა, ქეთი, გუჩკა, თავისი მოჯამაგირე-მოაზროვნეებით, თავისი გველ-წიწილებით? რატომ უნდა მიეწეროს ბოროტთა უნიჭო ვნებანი მთელ ქართველ ერს?! რატომ უნდა იფიქროს სამყარომ, რომ აქ, ამ ღვთიურ მიწაზე კანიბალები ცხოვრობენ.**

**მეოცე საუკუნე არ კმარა!? ყველაზე დიდ ბოროტებად კი მიმაჩნია ის ხალხი, ვინც ამ ავაზაკებს იცავს!“,** — წერს სტურუა.

### ფიქრია ჩიხრაძე „თანამედროვეობის ყველაზე დიდი პოლიტიკოსის“ მრჩევლად წავიდა...

**ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის თქმით, პრეზიდენტის მრჩევლის პოსტს, რომელიც ფიქრია ჩიხრაძემ მიიღო, გია ხუხაშვილი და ხათუნა ლაგაზიძე ორი წელია ელოდებოდნენ ,** — ამის შესახებ ივანიშვილმა ჟურნალისტებს გუშინ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განუცხადა.

ივანიშვილმა ისაუბრა ე.წ. ფსევდოოპოზიციურ პარტიებზე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს არსებობდნენ და ახსენა, რომ მაგალითად, გიორგი თარგამაძეს სინდისი ეყო და წავიდა პოლიტიკიდან, ისევე როგორც პოლიტიკიდან წავიდა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე.

**„დღეს „ახალი მემარჯვენეები“ ისევე ფილიალად მოიხსენიებიან ნაციონალური მოძრაობის, როგორც — „ლეიბორისტები“. გამყრელიძე, ალბათ, განიცდის, რომ დატოვა პარტია, რადგან თანამედროვეობის ყველაზე დიდი პოლიტიკოსის მრჩევლად წავიდა „ახალი მემარჯვენეების“ ახალი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე. გია ხუხაშვილი და ხათუნა ლაგაზიძე ორი წელიწადია, ელოდებიან და იბრძოდნენ ამ პოსტისთვის და უეცრად ასეთი მკვეთრი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც ჩემთვისაც კი მოულოდნელი გახდა,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

### ბიძინა ივანიშვილი: რუსული გაზით მთელი ევროპა მარაგდება და საქართველომ რომ იყიდოს, ამაში არავითარი კრიმინალი არ არის!

**რუსული გაზით დღეს მთელი ევროპა მარაგდება და საქართველომ რომ იყიდოს, ამაში არავითარი კრიმინალი არ არის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებების კომენტირებისას განუცხადა.**

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, არაფერი არ ხდება და საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხანია, გადის გაზის მილი, საიდანაც სომხეთს მიეწოდება გაზის მარაგი და საქართველო გარკვეულ მარაგს იღებს.

**— იმაში, რომ ბაზარი შეიძლება დივერსიფიცირებული იყოს და ჩვენ ბიზნესმენებს მივცეთ უფლება, გაზი დამატებით იყიდონ იქ, სადაც მოესურვებათ, ცუდს ვერაფერს ვხედავ. ჩვენ უნდა მივცეთ არჩევის საშუალება. ჩვენ ვცდილობთ, მეც აქტიურად ვარ ჩართული იმაში, რომ ირანული გაზიც შემოვიდეს საქართველოში,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**„ჩვენ მადლიერი ვართ აზერბაიჯანული მხარის, „სოკარის“, მაგრამ თუ მოხერხდება, რომ ერთი კომპანია არ იქნება მონოპოლისტი ბაზარზე და იქნებიან განსხვავებული კომპანიები, ამაში კარგის მეტი არაფერია“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



## „მოქალაქე“ ბიძინას აზრით

მისივე თქმით, აღნიშნული საკითხიდან აჟიოტაჟს ქმნის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა მაშინ, როდესაც რუსულ კომპანიაზე „თელასი“ სწორედ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს გასხვისდა.

**ივანიშვილის თქმით, აღნიშნულ საკითხზე შეშფოთება არ აქვს აზერბაიჯანულ მხარესაც, რომელთანაც მას მტკიცე კონტაქტი აქვს და იცნობს „სოკარის“ ხელმძღვანელობას, როგორც საქართველოში, ისე — აზერბაიჯანში.**

### გოგი თოფაძე კარგი კაცია...

**— თოფაძეს აქვს წამოცდენები. გოგი კარგი კაცია და შეიძლება ვაპატიოთ. ახლა ასაკშია, 75-ს გადააჭარბა და არა უშავს, ზოგჯერ წამოცდენები აქვს, მაგრამ მას არა აქვს საპირისპირო აზრი. თუ გნებავთ ჩაეკითხეთ, მოსწონს თუ არა ევროატლანტიკური ინტეგრაცია,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ის ასევე გამოეხმაურა გოგი თოფაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ სტალინის სურათს მალე ყველა ოჯახში დაკიდებენ.

**„მე არა მაქვს სტალინის სურათი. გოგი თოფაძეს თუ აქვს ამის სურვილი, ეს მისი ნებაა., პრინციპში ეს აკრძალული არაა. მე ასეთი დამოკიდებულება მაქვს არამარტო სტალინთან, თუ გინდათ, პატარა თვისებების სტალინის მსგავსი რომ ჰქონდა ჩვენს ბოლო ლიდერს, იმასაც შეგახსენებთ — არ შეიძლება ადამიანები იხვრიტებოდნენ და რაიმე აქცია ტარდებოდეს საზოგადოების წინააღმდეგ იმისათვის, რომ რაღაც წყობას ან იდეოლოგიას ჩაეყაროს საფუძველი. არცერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს არანაირი იდეოლოგია. ისტორიის ნაწილია სტალინი და ვიღაცები ამას იხსენებენ, ამის უფლება აქვთ. ძალიან საინტერესო და მძაფრი ისტორიაა დაკავშირებული სტალინთან, მათ შორის ჩვენი ქვეყნის განვითარების და მას ისტორიაში აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩემთვის სტალინი არ იყო პოზიტივი და ვერცერთი მისი პოზიტიური ნაბიჯი ვერ დააბალანსებს იმას, როგორც ის მოექცა საზოგადოებას. თუ გოგი თოფაძეს სტალინი მოსწონს, ამაში დანაშაული არაფერი არ არის. მისი ნება და მისი უფლებაა,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

### ინგა გრიგოლია იძულებით დავაბრუნე ჟურნალისტიკაში!..

**ივანიშვილმა ეს განცხადება თოქ-შოუების დახურვის თემის კომენტირებისას და ინგა გრიგოლიას იმ ბრალდების საპასუხოდ აღნიშნა, რომლის თანახმადაც, ამაში ექსპრემიერია ჩართული.**

ივანიშვილის თქმით, ჰქონდა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩთან საქართველოში და მანაც გამოთქვა აზრი თოქ-შოუების დახურვაზე, ამ კონტექსტშიც GDS-ს ახსენა, რაც ძალიან გასაკვირია, ვინაიდან, ივანიშვილის თქმით, GDS-ზე თოქ-შოუ ორ კვირაში განახლდება.

**„იმედის ხელმძღვანელობაც ამბობს, რომ ახალი პროექტი მუშავდება, ეს არის ნორმალური პროცესი. ინგა გრიგოლია ცდილობს, რომ ეს მე მომაწეროს, თითქოს მას ვებრძვი. რა თქმა უნდა, ამაში არაფერი ობიექტური არაა, გარდა იმისა, რომ მე მართლაც შეიძლება, თავის დროზე, ინგა გრიგოლიას კარიერულ ზრდაზე მოვახდინე გავლენა“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, გრიგოლია იყო ერთ-ერთი ფსევდოოპოზიციური პარტიის ლიდერი და მას შემდეგ, ივანიშვილი რაც პოლიტიკაში მოვიდა, მან ამხილა როგორც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, ისე „ახალი მემარჯვენეები“ და „ლეიბორისტული პარტია“, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობაზე ცუდად ექცეოდნენ საკუთარ საზოგადოებას და მათთან კვადრატში აყვანილი პრეტენზიები არსებობდა.

**„გრიგოლიას განაღდებული ჰქონდა დეპუტატის მანდატი პარლამენტში და, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მისთვის, ჩემი აზრით კი საბედნიეროდ მთელი საზოგადოებისთვის, ჩემი მოსვლით პოლიტიკაში საქართველოში სიტუაცია პრინციპულად შეიცვალა. გრიგოლიას, ალბათ, აქვს გაღიზიანება. პრინციპში მე ის იძულებით დავაბრუნე ჟურნალისტიკაში იმ ფორმით, რომ „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ 1%-იც ვერ აიღო და, შესაბამისად, ინგა გრიგოლია ვერ მოხვდა პარლამენტში“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

# დავით უსუფაშვილი პრეზიდენტთან შეხვედრას საგანგებოდ და განსაკუთრებულად არ მიიჩნევს



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გუშინდელ შეხვედრაში რაიმე განსაკუთრებული და საგანგებო არ ყოფილა.**

როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, გუშინ და გუშინწინ — საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხვალ და ზეგ, ალბათ, ისევ შეხვდება პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს.

**„ჯერ ასეთი სამსახური მაქვს, რომ ვხდები ხოლმე ასეთ კოლეგებს. ამიტომ გუშინდელ შეხვედრაში რაიმე განსკუთრებული და საგანგებო არ ყოფილა. ჩვენ ხშირად ვხდებით და კვლავაც შევხვდებით“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მაშინვე განაცხადა, პრეზიდენტსაც მოახსენა და ახლაც იმეორებს, რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობას ვერ ხედავს.

**„ვერ ვხედავ კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის რაიმე საფრთხეებს. ვხედავ ცალკეულ კონკრეტულ პრობლემებს, საჭიროა პრობლემებთან გამკლავება, რომ ზოგადად და მომავალშიც ოდესმე თეორიული საფრთხეც კი ავიცილოთ თავიდან. ამიტომ ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ გულმოდგინედ და თუ რაიმე მოსაზრება გვაქვს, ერთმანეთს გავუზიაროთ“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ისურვებდა, რომ ყველა პოლიტიკურმა მხარემ, ყველა საჯარო მოხელემ, ყველა ადამიანმა, ვინც მედიის მეშვეობით საზოგადოებასთან კომუნიკაციაშია, ხელი შეუწყოს ვითარების განმუხტვას, სამოქალაქო თანხმობას, დაძაბულობის მოხსნას და არა პირიქით, რაიმეს ესკალაციას.

**„ჩვენ იმიტომ ვართ არჩეულები თუ დანიშნულები, რომ ეს გავაკეთოთ, თორემ აღშფოთება ადამიანებს შეუძლიათ სახლში, სამზარეულოშიც, არ სჭირდება ამას რაიმე დიდი მონდომება. ჩვენი ამოცანაა შერიგება, თანხმობა, პრობლემების მოგვარება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ვეთანხმებით ერთმანეთს, ეს როგორმე გადავიყვანოთ არგუმენტების კონკურენციის და არა პიროვნული მტრობის რეჟიმში. ეს არის ჩვენი საერთო ამოცანა და პრეზიდენტთანაც ამაზე გვქონდა საუბარი“,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

⦿ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები




● ცნობილია, რომ ორსონ უელსის კარგად დამონტაჟებულმა რადიორეპორტაჟმა ნიუ-იორკში საშინელი პანიკა გამოიწვია. „ბოროტინო 2“-ზე დაანონსებული მოდელირებული ქრონიკები, არ მგონია, ასეთი ზემოქმედების იყოს, ორსონ უელსი ჯერ არ ჰყავთ, მაგრამ უშიშროებამ მაინც უნდა იფხიზლოს და შემდეგ დაადგინოს, რამდენად ავთენტურია ეს კადრები და თუ ეს მიზანმიმართული დეზინფორმაციაა, მისი შემქმნელები ციხეში მიაბრძანოს ცოტა ხნით მაინც!!!

● 100 ოქრო იმას, ვინც გამოიცნობს, საერთოდ ვისკენაა გოგი თოფაძე...

● როდესაც ფეხზე დასმულნი, მიზანსწრაფულად იწყებენ თავზე აცოცებას და გზადაგზა ყოველივე სიკეთის წყალში ყრას, დგება ჟამი უძველესი სენტენციის გახსენებისა: ხათრი-მათრი, ქებენი მატრი!

მგონი, ჭეშმარიტების ეს მომენტი დაუდგათ ამ დღეებში ზოგიერთებს, რომელთა გვარებსაც არ დავასახელებ, რამეთუ თვითონაც მშვენივრად გეცოდინებათ.

● 1789 წლის 11 ივლისს ევროპა სრულიად გარდაიქმნა, რელიგია გახდა პირადი მოხმარების საგანი და არა საზოგადოების იერარქიული ფორმირების ძირითადი საზომი, მონარქი — დეკორაცია, ოჯახი — შემთხვევითი ან დაგეგმილი სექსუალური ეაკულაციის შედეგი.

ეს ყველაფერი ერთ დღეს არ მომხდარა და ეს გარდაქმნა დღესაც მიმდინარეობს.

ქართველებში ეს მხოლოდ ახლა დაიწყო და საქართველო დღეს ამ გარდაქმნების ძალადობრივი აცრის შედეგად ტემპერატურის აწევის სტადიაშია, იმოქმედებს ეს აცრა თუ გაცუდდება, ექსპერიმენტის დასრულებისას გამოჩნდება.

ევროპა კი ახალ ეტაპზე გადადის, წელს მილიონობით მუსლიმს, რომლებსაც ევროპისაკენ უჭირავთ გეზი, ძველი აბრამისეული რელიგია მოაქვთ ევროპისათვის, ოღონდ ახლა უკვე ალაჰის სახით. ის ძველი უარყოფილი ქრისტიანული ევროპა კი ჩვენნაირ ქვეყნებში შემორჩა, სადაც ჯერ საყოველთაო აცრა არ დასრულებულა.

● დილის 9 საათზე, ცოლს რომ გაუშვებ ლიფტის დასაკავებლად, როცა შენ ყავას ხრუპავ და სულ ფეხზე გკიდია სხვა მეზობლები, 15 წუთი ამაოდ რომ უცდიან ამ სამეზობლო ტრანსპორტს, მერე ტროტუარზე მიპარკინგებულ შენს 5-მეტრიან ტანკში, რომელსაც სანომრეზე შენი დიადი სახელი ამშვენებს, ცოლს უკან დასვამ, შენს 7 წლის ბიჭს კი — წინ, ზებრაზე გადამსვლელ სტუდენტებს გზას არ დაუთმობ, რადგან შენზე მეტად არავის ეჩქარება, საცობიდან „პროწივზე“ გადახვალ, რადგან ყველაზე ჭკვიანი ხარ, ოფისში მისული თანამშრომელი გოგოს მკერდის ღარში ჩახედავ, ბოლოს კი Facebook-ში შეხვალ და „თბილისი იყო ურთიერთობას“ მორიგ პოსტს დაალაიქებ.

მაგრად ჩასჭიდე ხელები, ჯიგარო, ვინმემ ქართველობა არ წაგართვას...

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

⦿ წერილი რედაქციას

# მოვითხოვთ რეფერენდუმს!

**სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი ბოლო პერიოდში გადაიხარა დესტრუქციული ძალების მხარეს და თავისი გამოსვლებითა და ქმედებებით ყოველნაირად უწყობს ხელს დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის გაღვივებას ქვეყანაში. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლების რგოლებს შორის გაწონასწორებული ურთიერთობების გარანტი იყოს და კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში ყველაფერს აკეთებდეს მათი დაბალანსებული ფუნქციონირებისათვის, იგი აშკარად მიემხრო ნაციონალური მოძრაობის ძალებს და წამოიწყო აღმასრულებელი ხელისუფლების პერმანენტული კრიტიკა, რითაც კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ფონი.**

საქართველოს პრეზიდენტი დღეს გვევლინება არა პირუთვნელ, ობიექტურ არბიტრად, რომელსაც კონსტიტუციურად ევალება პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგება და ხელისუფლების დაბალანსება, არამედ დაინტერესებულ მხარედ, რომელიც განმუხტვის ნაცვლად ყოველმხრივ ძაბავს პოლიტიკურ ვითარებას, რითაც სცილდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს.

ამავე დროს იგი აქტიურად ერევა სასამართლოს საქმიანობაში და უაპელაციოდ ახდენს მასზე უხეშ ზეწოლას. მსგავსი რომ მომხდარიყო აშშ-ში ან დასავლეთის რომელიმე ქვეყანაში, წარმოდგენილი გვაქვს, რა შედეგები მოჰყვებოდა ამას პრეზიდენტისათვის, მაგრამ ჩვენთან ოპოზიცია-ნაციონალები იმდენად შეეჩვივნენ სტანდარტებისა და კანონის უგულებელყოფას, რომ თავს ნებას აძლევენ, საჯაროდ გააკეთონ კონტექსტიდან ამოვარდნილი ანტიკონსტიტუციური განცხადებები. სასამართლო ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში წარმოადგენს აბსოლუტურად მიუკერძოებელ, ობიექტურ ხელისუფლების რგოლს და მასზე ზემოქმედების უფლება არა აქვს არც პრეზიდენტს, არც პრემიერს და არც რიგით მოქალაქეს.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკვე არც მალავს და საჯაროდ უჭერს მხარს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც ქართველმა ხალხმა არჩევნების გზით მისცა პოლიტიკური დისკვალიფიკაცია, ჩამოაშორა ხელისუფლებას, როგორც ანტიეროვნული და დესტრუქციული ძალა.

ნაციონალური ნეოტოტალიტარული რეჟიმი, მისი ლიდერები დროულად უნდა გასამართლდნენ, რასაც უახლოეს მომავალში უსათუოდ უნდა დაადგეს საშველი, სააკაშვილი და მისი ხროვა იქ უნდა აღმოჩნდნენ, სადაც ქვეყანას მათთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისი ადგილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ ბოლო მოეღოს პრეზიდენტის მსგავს არაკონსტიტუციურ ქმედებებს, რისთვისაც საჭიროა პრეზიდენტისადმი უნდობლობის გამომხატველი საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც გამოავლენს ქართველი ხალხის ნებას და ერთხელ და სამუდამოდ დაუსვამს წერტილს მსგავს გადაცდომებსა და შეუფერებელ ქმედებებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**თენგიზ ონიანი, თეიმურაზ ფაჩულია, გიორგი დალაქიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ბესო შანიძე, გურამ დოლიძე, ზურაბ დუდაური.**

# ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო მოკლე დროში უნდა ამოქმედდეს

**— განცხადა საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ.**



„ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სააგენტო, იმიტომ, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ექსპორტის განვითარება, თუნდაც ამ ბოლო მოვლენებმა ლარის დევალვაციასთან დაკავშირებით ეს დაგვანახა. თუმცა, ანალოგიურად მნიშვნელოვანი და აუცილებელია იმპორტის ჩანაცვლების ხელშეწყობა“, — განაცხადა საგანელიძემ.

რაც შეეხება ვადებს, როდის ამოქმედდება ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, საგანელიძემ აღნიშნა, რომ ეს უნდა გაკეთდეს ძალიან მოკლე დროში.

# ქიბარ ხალვაში: პროკურატურა ვერ ახერხებს საქმის გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას

**ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის განცხადებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით კიდევ ერთი სარჩელი აქვს შეტანილი პროკურატურაში.**

**ხალვაშმა პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პროკურატურაში შეტანილი სარჩელი მის მიერ „რუსთავი-2“-ის 7,3 მილიონ დოლარად შეძენის საქმეს შეეხება, რომელიც მისივე განმარტებით, შემდგომში მიზერულ თანხად დაათმობინეს.**

**„ახლა მიმდინარე სასამართლო დავა არ ეხება იმას, რამდენად ვიყიდე მე ტელეკომპანია „რუსთავი-2“. სასამართლოში არის საუბარი, რამდენი მომცეს იმაში, რაც ღირდა გაცილებით მეტი, ასე რომ, ნუ გადაიტანთ თემას სხვა რაკურსში. ეს საჩივარი შეტანილია პროკურატურაში, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურატურა ვერ ახერხებს საქმის გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას“,** — განაცხადა ქიბარ ხალვაშმა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული 7,3 მილიონი დოლარიდან, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში გადაიხადა, 1 200 000 აქიმიძეს გადაუხადა, 100 000 კი — ტაბატაძეს.

**„მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, სასამართლოში შეიტანონ ჩემს წინააღმდეგ საქმე, გინდა ახალი გამოძიება წარიმართოს — მე „რუსთავი-2“-ში გადამიხადეს 7 300 000, დვალთან ხელშეკრულებაში რა წერია არ მახსოვს, მაგრამ დვალს და აქიმიძეს გადავუხადე 1 200 000, ტაბატაძეს — 100 000. 6 მილიონთან დაკავშირებული ისტორია კი პროკურატურაში ძალიან დეტალურადაა მოყოლილი და ამაზე პრესის წინაშე არ მინდა, რომ ვთქვა“,** — აღნიშნა ქიბარ ხალვაშმა.

* * *

ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში საქართველოს პრეზიდენტს ტელეკომპანია „რუსთავი-2-თან“ დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესებზე მონიტორინგის განხორციელებას სთხოვს. შესაბამისი კომენტარი ჟურნალისტებთან საუბარში ქიბარ ხალვაშმა პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მისივე განმარტებით, პრეზიდენტს სთხოვა, რომ „იმის გასარკვევად, თუ როგორ მიდის საქმე, სასამართლო პროცესს მისი წარმომადგენელი დაესწროს“.

**„ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტს, რომ ჩემი თხოვნა გაითვალისწინა და მიიღო. მოვუყევი ყველაფერი, რაშიც არის საქმე და ავუხსენი სამართლებრივი მხარე. ვთხოვე, რომ მონიტორინგი გაუკეთოს სასამართლოს, რადგან ის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან დიდ ზეწოლას განიცდის, არის მცდელობა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა, აქედან გამომდინარე ვთხოვე, რომ მისი წარმომადგენელი დაესწროს სასამართლო პროცესს და გაერკვეს, თუ როგორ მიდის საქმე“,** — განაცხადა ქიბარ ხალვაშმა. ბიზნესმენის თქმით, პრეზიდენტმა დახმარება აღუთქვა.

ქიბარ ხალვაში პრეზიდენტთან შეხვედრაზე ადვოკატ პაატა სალიასთან ერთად იმყოფებოდა.

* * *

**ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის მტკიცებით, წინა ხელისუფლებამ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ 300 000 ლარად დაათმობინა, მაშინ როდესაც ის 7 300 000 დოლარად შეიძინა.**




ამის შესახებ ხალვაშმა ჟურნალისტებს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. ამასთან, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დეტალები გაიხსენა, რომელმაც, ხალვაშის მტკიცებით, მას „რუსთავი-2“-ის დათმობასთან დაკავშირებით ულტიმატუმი წაუყენა.

**„2006 წლის 16 ნოემბერს, 22:30 საათზე შევედი მაშინდელ პრეზიდენტთან სალაპარაკოდ. მან წამომიყენა პრეტენზია, მოთხოვნა-ულტიმატუმი, რომ უნდა დამეთმო ტელევიზია, რათა ჩემს ოჯახს და მე უფრო კარგად მეცხოვრა, არ მქონოდა პრობლემები. მეორე დღეს, 2006 წლის 17 ნოემბერს, მოვიდა დიმიტრი ქიტოშვილი თავის მეგობრებთან ერთად და გადაიფორმა „რუსთავი-2“. ეს იყო ზეწოლა — ახლა ტყვიამფრქვევი არ უსვრია. არსებობს მტკიცებულება, რომელშიც წერია, რომ მე კომპანიაში ავიღე 300 000 ლარი, რაც 300 კაპიკიც არ ყოფილა სინამდვილეში მაშინ, როცა მე ვიყიდე 7 300 000 დოლარად“,** — აღნიშნა ქიბარ ხალვაშმა.

მისივე განმარტებით, იმას, რასაც მოპასუხე მხარე ლაპარკობს, „მიშა სააკაშვილის და გვარამიას დაწერილია“.

**„დევნილის სტატუსი არ მაქვს, მე ვარ საქართველოს მოქალაქე. ამავდროულად, მე ვარ გერმანიის მოქალაქე“,** — განაცხადა ხალვაშმა.

საით მივდივართ

# პრეზიდენტი პოლიტიკურ ცენტრს ქმნის?



**— მარგველაშვილი სარბიელზე გამოდის როგორც პოლიტიკოსი და არა მხოლოდ პრეზიდენტი, რომელიც მომავალში შეეცდება გარკვეული პლატფორმის ჩამოყალიბებას. ჩვენ შეიძლება საპარლამენტო არჩევნებისთვის ვიხილოთ გარკვეული კოალიცია, რომელსაც მარგველაშვილი დაუჭერს მხარს,** — აცხადებს პოლიტიკური კონსულტანტი, ექსპერტი **ვალერიან გორგილაძე,** რომელიც ამ საკითხებზე გვესაუბრება.

**— მარგველაშვილის მიმართვას „რუსთავის-2“-ის მოსამართლისადმი, რომ არ მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება, პოლიტიკოსთა ნაწილი სასამართლოზე ზეწოლად აფასებს. თქვენ რას ფიქრობთ?**

— პრეზიდენტის განცხადებამ ძალიან ბევრი გააკვირვა და მათ შორის მეც. პრეზიდენტმა თავისი განცხადებით, სამართლებრივი პროცესი, რომელიც „რუსთავი-2“-თან მიმართებაში მიმდინარეობს, პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიყვანა. მარგველაშვილმა, პრაქტიკულად, ჩაანაცვლა სასამართლო. ვიცით, რომ მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს მკაფიო მესიჯები, რომ ეს არის ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა, დანარჩენი საზოგადოება ამ პროცესს აფასებს როგორც სამართლებრივ დავას და ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ინტერაქტივებიც.

**— გასაგებია, რომ ნაციონალურ მოძრაობას სამართლებრივი დავა გადაჰყავს პოლიტიკურ სიბრტყეში, მაგრამ რა მიზანი აქვს პრეზიდენტს, რომელსაც კერძო დავა პოლიტიკურ ჭრილში გადაჰყავს? ვერ ვიტყვით, რომ პრეზიდენტი არის გამოუცდელი პოლიტიკოსი...**

— ჯერ ერთი, გიორგი მარგველაშვილი არის გამოუცდელი პოლიტიკოსი, მას არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა. მისი გამოცდილება არის მრჩევლობა. ის, რომ მან ფიქრია ჩიხრაძე დანიშნა პოლიტიკურ მრჩევლად, ეს უკვე ნიშნავს, რომ იგი ცდილობს არასაპარლამენტო ოპოზიციის კონსოლიდირებას, რომელთაც პირობითად პროდასავლური ვექტორი აქვთ. ამ ნაბიჯებით და განცხადებებით მარგველაშვილი ახდენს იმის დეკლარირებას, რომ იგი იქნება აქტიური პოლიტიკური ფიგურა და ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. სხვა ახსნა მარგველაშვილის ამ ნაბიჯს არ აქვს, რადგან მისმა ამ ნაბიჯმა პირიქით, უფრო გაამწვავა ვითარება, გაააქტიურა შიდა პოლიტიკური დისკუსია. პრეზიდენტმა აშკარა გახადა, რომ მისი თვალთახედვით „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებული პროცესები და ამ პროცესში ქიბარ ხალვაშის დახმარება სტიმულირებულია ხელისუფლების მხრიდან. სხვა როგორ უნდა გავიგოთ მისი მიმართვა მოსამართლის და სასამართლოს მიმართ, რომ ნუ მიიღებს ნაჩქარევ და ხისტ გადაწყვეტილებასო?! აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ პრეზიდენტი პოლიტიკურ ცენტრს ქმნის.

**— ანუ პრეზიდენტი ემიჯნება სახელისუფლებო გუნდს?**

— გამიჯნული ისედაც იყო — თავისი განცხადებებით პრეზიდენტმა გადალახა წითელი ხაზები.

**— მარგველაშვილის მხარდაჭერილ კოალიციაში ვინ შეიძლება ვიხილოთ, გამორიცხავთ, რომ ეს შეიძლება იყოს „ნაციონალური მოძრაობა“?**

— შეიძლება იყოს „ნაციონალური მოძრაობაც“. მაგრამ ეს იქნება იგივე მემარჯვენეები, ეროვნულ-დემოკრატები და, ა. შ. რომელთა რეიტინგი ჯამში 0,5%-ს თუ შეადგენს, მაგრამ შეიძლება ამ კოალიციას დაემატოს ალასანია და, რაც მთავარია, ამ პოლიტიკური კოალიციის პლატფორმა იქნება პროდასვლური ორიენტაცია. თუკი ეს კოალიცია ირიბად მხარდაჭერილი იქნება პრეზიდენტის მხრიდან, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ამ კოალიციამ მარგველაშვილის კანდიდატურა წარადგინოს მეორე ვადით.

**— გიორგი მარგველაშვილი ხშირად ამბობს, რომ ის არ არის ერთი პოლიტიკური გუნდის პრეზიდენტი და, რომ ის არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არის კონსტიტუციის გარანტი. შესაბამისად, არ თვლით, რომ ლოგიკურია პრეზიდენტის განცხადება ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ წინ გვაქვს გოკა გაბაშვილის განცხადება — „მოხდება სახელმწიფო უწყებების პარალიზება“?**

— შეიძლება პირიქით მოხდეს. პრეზიდენტის განცხადება არ არის ესკალაციის საწინააღმდეგო, პირიქით, აღვივებს ესკალაციას. არ ვიცი, ხვდებიან თუ არა ამას მარგველაშვილი და მისი მრჩევლები, მაგრამ თქვენ კონკრეტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის განცხადება მოიყვანეთ და, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ორგანიზაცია შეეცდება ქვეყანაში დესტაბილიზაციას, მაგრამ პრეზიდენტის მთავარი ფუნქცია არის კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა და არა მისი პროვოცირება. ამ განცხადებით კი მან მოახდინა დესტაბილიზაციის პროვოცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერთა რაოდენობა, რომელიც ფიქსირდება სასამართლოზე, ეს არის ნაციონალური მოძრაობის ძალიან მცირე აქტივი. ამდენად, თუ ხელისუფლებამ არ დაუშვა რაღაცა კატასტროფული შეცდომა და თავისი ქმედებებით არ წაახალისა ეს დესტრუქციული პროცესები, არ მგონია, რომ პროცესები სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს ამის რესურსი, მეტიც, მოსახლეობაში მათ მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად ნეგატიურია.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატური იყო პრემიერ-მინისტრის განცხადება, იგი არ შეიცავდა ძალადობისკენ მოწოდებას?**

— პრემიერის განცხადება არ იყო კორექტული და რატომღაც ტრადიციად ჩამოუყალიბდა მას ხისტი განცხადებების გაკეთება. ქვეყნის მთავრობის მეთაური არ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, რომ ასეთი პროვოკაციული განცხადებები აკეთოს, მაგრამ როდესაც მარგველაშვილი პრეტენზიას უყენებდა პრემიერს, რომ თურმე აღვივებდა ამ ვითარებას, მან უფრო გააღვივა ეს დაპირისპირება, ვინაიდან დადგა მეორე მხარეს. პრეზიდენტი ზეპარტიულ პოზიციას უნდა იკავებდეს, უნდა იყოს მომრიგებელი და არა პირიქით, სამოქალაქო დაპირისპირების გამღვივებელი. თავისი შინაარსით და შესაძლო შედეგებით, მარგველაშვილის განცხადება ბევრად უფრო დესტრუქციულია.

**— ჩვენ ვხედავთ, რომ საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან არის მცდელობა ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციისა. ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ არ დაუშვას ქვეყანაში დესტაბილზაცია, არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები და ამავე დროს იმოქმედოს კანონის ფარგლებში, თუნდაც იგივე „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით?**

— ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, ამ აღსრულებაში ხელისუფლებას მართებს მოქნილობა და გონივრულობა. შექმნილი ვითარება ხელსაყრელია ნაციონალებისთვის, ვინაიდან პროვოკაცია და დესტაბილიზაცია გარკვეულ იმედს აძლევს ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან „რუსთავი-2“-ის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის, დაკარგვა უზარმაზარი დარტყმაა ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე. მათ ესმით, რომ „რუსთავი-2“-ის დაკარგვის შემთხვევაში, ეს პოლიტიკური ორგანიზაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს რიგით ორგანიზაციად, რომლის რეიტინგი შეიძლება 5% იყოს.

ესაუბრებოდა
**თამთა ქარჩავა**

სათქმელი



# შენც, თემურ?!

**„ბევრი ვიფიქრე ძალიან“...**

**ადვილი ხომ არ არის ამდენი წლის მეგობართან დაპირისპირება?!**

დაპირისპირება?! — რა დამზაფვრელი სიტყვაა, მით უფრო მაშინ, როცა მიმართავ კაცს, რომელიც უანგარო და წრფელი გულით გიყვარს, რომელსაც პატივს სცემ, ვისაც მონუსხულიც კი ჰყავხარ განსწავლულობითა და ორატორული ხელოვნებით.

**თემურ ქორიძეს** ვგულისხმობ — არა რექტორს ან ჟურნალისტს, არამედ კრიტიკოსსა და **ზვიად გამსახურდიას** უზენაესი საბჭოს წევრს.

მას უყვარს დიდ მოაზროვნეთა დამოწმება.

და ვისაც ჩემი ეს „მკვახე შეძახილი“ გააკვირვებს (ასეთი ცოტა არ აღმოჩნდება), ყველას შექსპირით მოვიგერიებ: **მე მიყვარს კრიტიკოსი თემურ ქორიძე, მაგრამ საქართველო უფრო მეტად მიყვარს!**

საქართველო რა შუაშია?!

გეთანხმებით... საქართველო ყოველთვის თავშია!

რა იყო, თემურ, „ობიექტივის“ სტუდიიდან შენი გუშინწინდელი გამოსვლა?!

ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს შენ კი არა, **შალვა ნათელაშვილს** ვუსმენდი, მით უფრო, რომ სწორედ გუშინ გავრცელდა სოციალურ ქსელში მისი მორიგი უტიფარი ტექსტი, სადაც სინანულს გამოთქვამდა დიდი ავლიპის არყოფნის გამო.

როგორ დაემთხვა თქვენი აზრები?!

იმას დიდი ავლიპი მართლა სჭირდება, მაგრამ შენ რაღა დაგემართა, ასე ჭკვიანსა და განათლებულს, ასე უანგაროს, მისგან განსხვავებით, პირად კეთილდღეობაზე რომ არასოდეს გიზრუნია?!

ნათელაშვილის ულირსი საქციელი ადვილი ასახსნელია, მაგრამ შენზე რა ვიფიქროთ?!

ხომ მიგანიშნა ქალბატონმა **ნინო რატიშვილმა,** წყალს ნაცების წისქვილზე ასხამო, თვითონ ამას ვერ გრძნობდი?!

ეს ხომ დაუჯერებელია!

მაშასადამე, ამას შეგნებულად აკეთებ?!

თანაც როდის, როცა სოციალური ქსელი ნაცების ცხრაწლიანი ნამოქმედარის ამსახველი შემზარავი კადრებითაა გადავსებული, ხოლო ხალხი — კიდევ ერთხელ დაზაფრული.

ამ დროს შენ და ნათელაშვილი სრულიად მსგავსი ტექსტებით გამოდიხართ და გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებთ კაცს, ვინც ეს ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი დაამთავრა.

მას არ დაუმთავრებია?!

მე და შენ დავამთავრებდით?!

თუ ნათელაშვილი და ალასანია?!

დაგავიწყდა, რომ თავის დროზე, ზვიად გამსახურდიასაც ,,დიდ ავლიპთან“ აგზავნიდნენ?!

მაშინ რით ვართ იმ ქვეყნის დამაქცევრებზე უკეთესნი?!

არ გეკადრება!

ვიცი, პირადული არ გამოქმედებს.

მით უფრო აუხსნელი და გასაკვირია შენი გამოსვლა — თურმე, **ბიძინა ივანიშვილს** საქართველოსთვის საერთოდ არაფერი გაუკეთებია(?!). ამას თვითონ ნაცებიც კი არ ამბობენ.

კარგად იცი, პირადულიდან მეც არასოდეს გამოვდივარ.

პირადული რომ გავითვალისწინო, ნაწყენიც კი უნდა ვიყო ივანიშვილზე: კარგად იცი, ნაცების მიერ დახურული გაზეთი „თბილისი“ დღემდე დახურულია.

მაგრამ ეს წყენა ისე არ მაბრმავებს, რომ მის მიერ



გაკეთებული დიდი საქმეები ვერ დავინახო.

რადგან ივანიშვილზე მეტად, საქართველო მიყვარს...

შენზე მეტადაც, ჩემო ძვირფასო მეგობარო!...

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, ნაცების გულის გამხარებელო...

**იოსებ ჭუმბურიძე**

სამართალი

# პოლიციას გამოსახლების უფლება მხოლოდ თვითნებური შეჭრის შემთხვევებში ექნება

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ე.წ. საპოლიციო გამოსახლების გაუქმებას ითვალისწინებს, პარლამენტმა გუშინ მეორე მოსმენით — მუხლობრივად განიხილა.**

**როგორც პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა პაატა კიკნაველიძემ განმარტა, ინიცირებულ პროექტში შეიცვალა ის, რომ თუკი პირი სხვის საკუთრებაში თვითნებურად არის შეჭრილი და ფაქტი დადგენილია, ასეთ შემხვევაში პოლიციას ექნება უფლება, გამოსახლება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე განახორციელოს. ყველა სხვა შემთხვევაში გამოსახლებას სასამართლოს გადაწყვეტილება დასჭირდება.**



**საპოლიციო გამოსახლების გაუქმების თაობაზე ცვლილებები „სამოქალაქო კოდექსში“ და სხვა თანმდევ კანონებში შედის. კოდექსიდან ის ნორმაც ამოიღება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს მიერ უძრავ ნივთზე ხელშეშლის აღკვეთას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ითვალისწინებს.**

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის პროექტი ინიცირებისთანავე გახდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების და ფინანსური ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. მათი შეფასებით, პროექტის მიღების შემთხვევაში საკუთრების უფლების დაცვის სტანდარტები გაუარესდება.**



# ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚ-ᲧᲣᲠᲐᲡᲐᲬᲔᲕᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ

## ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲡ

**ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲐᲕᲘᲗ!**

**მინდა, შესავალშივე დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა, როგორც ჩემი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარესა და პირველ კანონმდებელს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ახალი პარლამენტის სპიკერთან ღია წერილით მომიწევდა საუბარი. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უსიამო განცდა მეუფლება. როგორც ჩანს, ეს არის „იძულებითი გაჩერება“ საგანგებო მდგომარეობის გამო, სხვა შემთხვევაში, ეს წერილი არ დაიწერებოდა, რადგანაც არ იქნებოდა ამისი საჭიროება.**

დავიწყებ იმით, რომ ჩემი მშობლიური მხარე — აჭარა, ყველა ხელისუფლების პირობებში განტევების ობიექტია. საბჭოთა რეჟიმის დროს, მაშინდელი კგბ-ს ჩინოვნიკები აჭარლებს ათასგვარ იარლიყებს გვაკერებდნენ. მათი გახსენებაც კი შემზარავია ჩემთვის და, ცხადია, ასეთი იქნება ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილისთვის, ვისაც საქართველოსთვის უცემს გული, ხოლო სოროსის გრანტებს დახარბებულებსა და ცისფერდუნაიდალეულებისთვის შეიძლება სასიამოვნოც იყოს. იმედი მაქვს, გეხსომებათ, აჭარის ახალი ხელისუფლების მიერ კედელთან მიყენებული „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან თქვენი ბათუმური შეხვედრა. ჩვენ მაშინ გესაუბრეთ საჭირბოროტო საკითხებზე. კერძოდ, დაგისახელეთ მაგალითები, რომ ახალმა ხელისუფლებამ ბათუმის მერიაში, რაიონებში, სამინისტროებსა და მთავრობაში სააკაშვილ-ვარშალომიძის ერთგული ყმები და ზონდერები დანიშნა. გითხარით, რომ საგანელიძე-დუმბაძის დუეტმა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში გაგვიყიდა არჩევნები. თუ როგორ, ეს სხვა თემაა და ამ წერილის ფორმატი არ დაიტევს. მაშინ პირადად მე დავსვი საკითხი, რომ საქართველოს მთავრობაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთი ადგილი ეკუთვნის. ისიც გითხარით, რომ რახან აჭარელი მინისტრად არ გინდათ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ავტომატურად შეგეყვანათ ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაში. შენც არ მომიკვდე. უთუოდ გეხსომებათ, სააკაშვილმა სრულიად უკანონოდ გარეკა მაშინდელი აჭარის უზენაესი საბჭო.

ახლა მივადექით პრობლემას, რისთვისაც ეს წერილი იწერება: დიდი ხანია, მოქმედებს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. გითხარით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი (ადრე უზენაესი — **შ. ზ.**) საბჭოს ყოფილი დეპუტატები კანონგარეშე აღმოვჩნდით. ე.ი. ხელისუფლებამ ამოგვაგდო კონსტიტუციური სივრციდან.

სააკაშვილის გახრწნილი და გარყვნილი რეჟიმი ან საერთოდ არ გვპასუხობდა, ანდა გვიგზავნიდა ბუნდოვან და აგდებულ პასუხებს.

2005 წლის დეკემბერში ნინო ბურჯანაძის პარლამენტმა (მადლობა ქალბატონ ნინოს — **შ. ზ.**) მიიღო კანონი № 433, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. კანონის პირველი თავის („ზოგადი დებულებანი“) პირველი მუხლის: („კანონის რეგულირების სფერო და საგანი“) მე-4 ქვემუხლში ეწერა: **„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა კომპენსაციით უზრუნველყოფის წესი და პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.“**

როგორც ხედავთ, ბატონო დავით, ეს კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ავალებს თავისი დეპუტატების (ძველი და ახალი მოწვევის — **შ. ზ.**). სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიით უზრუნველყოფას (კანონით მოწესრიგებას — **შ. ზ.**). იგი ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან. სამწუხაროდ, 2006 წლის 17 ოქტომბერს კანონის ეს მუხლი სააკაშვილის დავალებით პარლამენტმა გააუქმა. დადიოდა ხმები, რომ ამაში აჭარის უმაღლესი საბჭოს ხელიც ერია. აჭარის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს, ნაციონალ მახარაძეს 10 თვე ჰქონდა იმისთვის, რომ ეს მუხლი აემოქმედებინა, რაც შეგნებულად არ გააკეთა. საუბრობენ იმაზეც, რომ სტიპენდია მხოლოდ ახალი მოწვევის ნაციონალი დეპუტატებისთვის მიეცათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. როგორც ხედავთ, ფაქტია აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების დისკრიმინაცია. რა თქმა უნდა, ჩვენ განვაგრძობდით ჩვენი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის ბრძოლას. მივაღწიეთ იმას, რომ 2008 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით განიხილა კანონპროექტი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ და საქართველოს კანონში (№433) აღადგინა სააკაშვილის დავალებით ამოღებული მე-4 მუხლი, სადაც ვკითხულობთ:

**1. „მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის დ$^2$ ქვეპუნქტი:**

**დ$^2$) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრებს“.** როგორც იქნა, აღსდგა სამართლიანობა და ჩვენც ვიპოვეთ ადგილი კანონის ჩარჩოში, მაგრამ როგორც ვასიკო ოდიშვილი თავის შოუში იტყოდა, „მაგარმა მიშამ“, ანუ „მაღალმა“, კვლავ გამოაჩინა თავისი სულმდაბლობა და კანონში ცვლილებას ხელი არ მოაწერა.

ბატონო დავით, ამის შემდეგაც გრძელდებოდა სამართლიანობის ძიების ოდისეა. მაგრამ სააკაშვილისა და გახრწნილი ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს სამართალი ვინ იპოვა, რომ ჩვენც გვეპოვა?! ცხოვრება დღითი დღე უარესდებოდა. უსახსრობითა და თითქმის შიმშილით გარდაიცვალნენ ყოფილი დეპუტატები — ნაზი თებიძე, მაყვალა მარდალეიშვილი, ზურაბ გორგილაძე.

დიდი იმედი გვქონდა, რომ თქვენი ახალი პარლამენტი ამ საკანონმდებლო დისკრიმინაციას აღმოფხვრიდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით. არის ყალბი დაპირებები და მიმოწერა, გადაბრალ-გადმობრალება, მაგრამ აჭარის უმაღლესი საბჭო და მისი სპიკერატი საკუთარ პრემიებსა და უცხოეთში არაფრისმომცემ მივლინებებზე ხარჯავენ სახსრებსა და ენერგიას. რაც შეეხება თქვენს დეპუტატებს, აჭარის 6 მაჟორიტარიდან არც ერთს არ შეუძლია კანონშემოქმედებითი მუშაობა, საკითხის დასმაც კი. უმრავლესობა დაკავებულია სხვა ქვეყნების კანონების გადაწერა-გადმოწერით. არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია აჭარის პრობლემებზე.

გაუწყებთ, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ხაბაძემ 2015 წლის 4 აპრილიდან ოფიციალურად დაადასტურა, რომ თუ თქვენი პარლამენტი სათანადო ცვლილებას შეიტანს არსებულ კანონში, მზად არის 2016 წლის იანვრიდან დააფინანსოს სადეპუტატო კომპენსაციები აჭარის ბიუჯეტიდან. ამის შესახებ აჭარის პარლამენტის თავმჯდომარე ა. ბერიძე საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნ. ხადურს 2015 წლის 23 ივლისს წერილობით ატყობინებს და თხოვს, აცნობოს თავისი პოზიცია ამ საკითხზე, რაც სრულიად აბსურდულია, რადგან ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. ბატონ ავთანდილ ბერიძესთან ფინანსთა სამინისტროდან მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის ხელმოწერით მოდის შემდეგი პასუხი: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 23 ოქტომბრის წერილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ასევე წინა მოწვევის უზენაესი საბჭოსა და პარლამენტის წევრთა სახელმწიფო კომპენსაციების 2016 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსების თაობაზე და გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გამოიწვევს მსგავსი პრაქტიკის გავრცელებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკასა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.“** (სტილი დაცულია — **შ.ზ.**).

ბატონო დავით, ჯერ ერთი, აჭარის უმაღლესი საბჭოდან ეს სულელური წერილი არ უნდა წასულიყო. მით უმეტეს, ბატონი ავთანდილ ბერიძე წერს, რომ მათ მიერ საქართველოს პარლამენტში ინიციატივის წესით ინიცირებულია „საქართველოს კანონის პროექტი“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. რაც შეეხება ფინანსთა მინისტრის მოადგილის ბატონი გიორგი კაკაურიძის ა. ბერიძის წერილზე პასუხს, უვიცობის ნიმუშია. ფინანსთა სამინისტროში არ სცოდნიათ, რომ ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფო წარმონაქმნია და მისი სასოფლო თუ სადაბო თვითმმართველობასთან გათანაბრება არ შეიძლება. კიდევ მეტიც, ეს არის ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგო განცხადება, როცა პასუხობს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე ამ კანონის გავრცელება გამოიწვევს მსგავსი პრაქტიკის გავრცელებას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე.“ მერწმუნეთ, ბატონო დავით, თავის დროზე დედაქალაქიდან ასეთმა სულელურმა განცხადებებმაც შეუწყო ხელი თბილისსა და სოხუმს შორის ხიდჩატეხილობას. იმასაც შევახსენებ ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკებს, რომ **აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ეს არ სჭირდებათ, რადგან ისინი უვადოდ არიან არჩეული. ესეც კი არ სცოდნიათ. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, სულ ცოტა, ამ განცხადებისტის მინისტრის მოადგილეს გადავაყენებ, ხოლო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ყურს აუწევ.**

ბატონო დავით, ახლა ვნახოთ, რას პასუხობს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი გიორგი თაბუაშვილი ყოფილი დეპუტატების განცხადებაზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატსა და განცხადების ავტორებს, ზემოხსენებულ პასუხზე დაახლოებით 2 წლით ადრე: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა მიმდინარე წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საინიციატივო ჯგუფის 2 სექტემბრის და 8 ოქტომბრის კოლექტიური და 27 სექტემბრის საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გამოგზავნილი ცისანა ანთაძის წერილი № 30582 განცხადებები აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების სადეპუტატო სტიპენდიით უზრუნველყოფის თაობაზე და გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო კომპესანციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციები ინიშნება სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებელბში გაწეული ღვაწლისათვის და კანონი არ ვრცელდება არც ერთი თვითმმართველი ერთეულის და ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების თანამშრომლებზე, რისი გათვალისწინებითაც არამიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული კანონი გავრცელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებზე.**

**ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ არის წინააღმდეგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში წერილში მითითებული ღონისძიების დაფინანსება განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.“** (სტილი დაცულია — **შ. ზ.**).

შევნიშნავ, რომ ფინანსთა მინისტრის ორი მოადგილის პასუხები დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

**პატივცემულო ფინანსთა მინისტრის პირველო მოადგილევ, როგორც ჩანს, თქვენს სამინისტროში შუქი არ იყო და ბნელოდა, თორემ ამ სისულელეზე ხელი რამ მოგაწერინათ, რომელშიც იმდენი აბსურდია, რამდენიც წინადადებაა?! ჯერ ერთი, რომ წერთ „ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების თანამშრომლებზე არ ვრცელდებაო“, ნუთუ მართლა არ იცით, რომ „ორგანოების თანამშრომელი“ და „დეპუტატი“ ერთი და იგივე არ არის? მეორეც, დეპუტატები აპროტესტებენ კანონის დისკრიმინაციულობას, რომ აჭარის დეპუტატებზე არ ვრცელდება იგი. თქვენ კი გვწერთ, რომ „კანონი აჭარის დეპუტატებზე არ ვრცელდება.“ გამოდის, რომ აჭარის დეპუტატებს არ გვცოდნია, ეს რომ ასეა.**

**და კიდევ, თუ კანონი აჭარის დეპუტატებზე არ ვრცელდება, მაშინ როგორ უნდა დააფინანსოს ადგილობრივმა ბიუჯეტმა?!**

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ, რად გინდათ მინისტრის ისეთი პირველი მოადგილე, რომელმაც არ იცის, რაზე აწერს ხელს?! როგორც ჩანს, დედაქალაქში წერა-კითხვის მცოდნე კადრების დეფიციტია. თუ ეს ასეა, გვაცნობეთ და აჭარიდან გამოგიგზავნით.

ბატონო დავით, ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით მოსულმა პარლამენტმა კანონშემოქმედებითი მუშაობა პრეზერვატივების კანონპროექტით დაიწყო. თითქოს ქვეყანაში სხვა საჭირბოროტო პრობლემა არ იყოს. იმასაც შეგახსენებთ, რომ **ქართველმა ხალხმა ხმა მოგცათ არა ფაშისტური ნაცმოძრაობის, არამედ საქართველოს გადასარჩენად.**

უმორჩილესად გთხოვთ, მალე განიხილოთ ინიცირებული კანონპროექტი და გვითხრათ ან — კი, ან — არა! ეს უკანასკნელი კი სტრასბურგის სასამართლოში მიგვიყვანს. მინდა ვირწმუნო, რომ გამოიჩენთ კეთილ ნებას და სტრასბურგის სასამართლო და მეორე ღია წერილის გამოქვეყნება აღარ დაგვჭირდება.



**ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲘᲫᲔ,**
**მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**
**ქ. ბათუმი**



# ტელევიზია ხელისუფლებას ერევა?!

**როდესაც „ნაცების“ სპეცრაზმმა ტელეკომპანია „იმედი“ შტურმით აიღო, ამერიკელმა „პატრონებმა“ უსაყვედურეს თურმე პრეზიდენტ სააკაშვილს: — ეს რომელ გენიოსს მოაფიქრდა, რომ ტელევიზია პირდაპირ ეთერში დაეხურა და თან ყველაზე პოპულარული გადაცემის მსვლელობის დროს, შუაღამეს მაინც დალოდებოდითო“...**

**სააკაშვილმა თურმე თავი იმართლა: — „იმედი“ რომ არ აგვეღო, ძალაუფლებას ვკარგავდითო“...**

**საინტერესოა, რა უნდა ეთქვა გიორგი თარგამაძეს ისეთი მნიშვნელოვანი გადაცემის დასრულებამდე, რომ „ნაცმოძრაობას“ ძალაუფლება დაეკარგა?**

ან რა უნდა თქვას ნიკა გვარამიამ უშუალოდ არჩევნების წინ ისეთი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმები ვერ მიიღოს?

თითქოსდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა უნდა ყოფილიყო გუშინდელი „განსხვავებული აქცენტები“, მაგრამ არც ამ გადაცემაში თქმულა რამე ახალი.

„ნაცები“ ჯერ კიდევ 2012 წლიდან ამტკიცებდნენ, რომ ციხის კადრები ლადო ბედუკაძემ დადგა სპეციალურად ივანიშვილის დაკვეთით, მაგრამ ექსპერტების დასკვნებისაც კი არავის სჯეროდა დღემდე... და 2016 წელს რატომ დაიჯერებენ? საქმე ისაა, რომ ფართო მასების „დამჯერებლობა“ დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რას ეტყვი, არამედ იმაზე, თუ როგორ ეტყვი.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხანგრძლივ — 3-წლიან და ყველაზე მაღალსტიპენდიიან დაფინანსებას ქართველი ჟურნალისტები ევროამერიკის დოქტორანტურებში სწავლებისას იღებენ, რა უნდა ისწავლოს ჟურნალისტმა უცხოურ დოქტორანტურაში 3 წელი, თუ არა ფართო მასების ქვეცნობიერი მართვა? კარგი რეპორტაჟის მომზადებას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროსაც სწავლობენ მშობლიურ ქართულ უნივერსიტეტებში...

ასეთი ქვეცნობიერი მართვის ხელოვნების მაგალითი იყო გუშინდელი „განსხვავებული აქცენტები“ — ისეთი ტონით აგვიხსნეს, ციხის კადრები ბედუკაძის დადგმულიაო, რომ მთელმა თუ არა, ნახევარმა საქართველომ ეს უკვე „დაიჯერა“.

არადა, ე.წ. „კასრებში“ ნაპოვნი ვიდეოები რომ ტყეშია გადაღებული და იქ ბედუკაძის შორეული ნაცნობებიც რომ არ ფიგურირებენ — ეს რატომღაც დაავიწყდათ.

ამ „ტყის კადრებს“ ახლა პროსამთავრობო არხები დაიხვევენ ხელზე — ეს კასეტები ხომ შემთხვევით იპოვნეს და მათი დადგმა ხომ არც არავის უფიქრიაო.

თუმცა, „რუსთავი-2“ ისევ შეთხზავს ე.წ. სკრინ-შოტებს, სადაც ნაჩვენები იქნება, რომ თურმე ეს კასრები თავის კასეტებიანად თვითონ „ქოცებმა“ ჩაფლეს... და მტკიცებულების სახით ალბათ „ფარულ“ ჩანაწერებს წარმოადგენენ, რომლებშიც „მეოცნებე“ ჩინოსნები იმაზე იკამათებენ, თუ რომელი ხის ძირში ჩაფლან კასრები — მუხის, წაბლის თუ ნეკერჩხლის და დაიწყება ისევ გაუთავებელი დებატები, თუ ვინ არის პროვოკატორი აფერისტი და ვინ კიდევ სიმართლის ბაირახტარი.

ინფორმაციის ასეთი მიწოდების მანერას მეცნიერულად ინსინუაცია ეწოდება. ეს ტერმინი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისგან ინსინუატიო, რაც ქართულად დაახლოებით ითარგმნება როგორც შემფარველობა, პირმოთნეობა, ლაციცი...

ზუსტად ამ ინსინუაციის ხელოვნება არის ყველაზე დიდი კომპრომატი პროფესიონალი ჟურნალისტების ხელში ნებისმიერი ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, სწორად აღნიშნა თავის ინტერვიუში ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა: „რას უშვებიან ამ საცოდავ ხალხს, დაათრევენ იქით-აქეთ — ამ 2000 ადამიანსო“... თუმცა, არა მხოლოდ „რუსთავი-2“ დაათრევს აქეთ-იქეთ თავიანთი ინსინუაციებზე აყოლილ „საცოდავებს“...

ასევე „დაათრევენ“ სხვა მაღალრეიტინგული ტელევიზიებიც... რაც არ უნდა სამარცხვინო იყოს, სხვა ტელევიზიებიც იმავე პრიმიტიულ პროპაგანდისტულ მეთოდებს იყენებენ. თუ ადრე „ნაცმოძრაობა“ ხალხს პრორუსი კორუმპირებული ბიუროკრატებით აშინებდა, დღეს პროსახელისუფლებო არხები თვითონ „ნაცებით“ აშინებენ ხალხს და ძალიან მარტივ, უკვე შაბლონად ქცეულ აზრს უნერგავენ: „ოღონდ კი ეს „ნაცები“ არ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და მთავრობამ რაც უნდა ის აკეთოს — თუგინდ ქვეყანა დაიმხოს თავზეო“.

თავის მხრივ „რუსთავი-2“ საპირისპირო აზრის ჩანერგვას ცდილობს ზუსტად იმავე შაბლონით: „რადგან ციხის კადრები „ქოცების“ დაკვეთით გადაიღეს, ამიტომ, ისევ ნაცმოძრაობა უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში და თუგინდ ნახევარი საქართველო ჩაყარონ ციხეში — ხომ ყოფილა იქ საკურორტო პირობებიო“...

არადა, პოლიტიკურად განათლებული საზოგადოება სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ასე აზროვნებს: **რაც უფრო საშიშია მტერი, მით უფრო მაღალ დონეზე უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები მთავრობამ!**

ასე, მაგალითად, „დემოკრატიულმა პარტიამ“ რომ „რესპუბლიკელებით“ აშინოს ხალხი და ამ შეშინებით ყველა დანაშაულზე სრული კარტ-ბლანში მიიღოს, ეს ამერიკელებს სასაცილოდაც კი არ ეყოფათ.

საქართველოში კი საფრთხობელის ზურგს უკან ათასგვარი დანაშაულის ჩადენა ლამის ეროვნულ ტრადიციად იქცა!

ხომ არ აჯობებდა, რომ თვითონ ამომრჩევლებს შეგვეშინებინა ეს საფრთხობელები?

ამისთვის ჩვენ თვითონ უნდა ვისწავლოთ ჩვენი პოლიტიკური ქვეცნობიერების მართვა ტელევიზიების მაგივრად. ეს კი არცთუ ისე ძნელია — უწინარესად არ უნდა დავიჯეროთ ყველაფერი, რასაც გვეუბნებიან...

დღევანდელი მაყურებელი ძალიან გულუბრყვილოა... მაგალითად, ძალიან ბევრმა დაიჯერა, რომ კვირის „აქცენტებში“ წარმოდგენილი მიმოწერა ნამდვილია... არადა, ერთი-ორი ფრაზა ააშკარავებს, რომ ეს დიალოგი პროფესიონალი ინსინუატორების მიერაა შეთითხნილი.

ამიტომ ჯობს, სანამ სატელევიზიო ემოციებს აჰყვებოდეთ, თითო-ოროლა ობიექტური საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებს გაეცნოთ და თვითონვე გააანალიზოთ!

**კობა ბიწაძე**

**⦿ მომგებიანი ბიზნესი**

# ზამთარში დასვენება ძვირი სიამოვნებაა!

**5 დეკემბრიდან ზამთრის კურორტებზე სეზონი გოდერძის კურორტიდან გაიხსნება. 13 დეკემბრიდან კი ზამთრის აქტიური კურორტების რიცხვს გუდაური და ბაკურიანიც შეემატება.**

bpn დაინტერესდა, არის თუ არა ქვეყნის ეკონომიკისთვის ზამთრის კურორტები მომგებიანი და ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისების შემთხვევაში, რამდენი ტურისტის მიღება შეუძლია საქართველოს? ამ თემასთან დაკავშირებით ტურიზმის ექსპერტ ნიკა კვარაცხელიას ვესაუბრეთ. მისი თქმით, ზამთრის კურორტები ძალიან მომგებიანია, ვინაიდან ზამთარში დასვენება ძვირი სიამოვნებაა.

**„ზამთარში ორი კვირით დასვენება ზაფხულში ორი თვით დასვენების ტოლფასია. თხილამურები, საბაგირო გზები, გათბობა, საჭირო აღჭურვილობა — ეს ყველაფერი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ზაფხულში კი დამსვენებლები ზღვაზე ერთი ჩანთით მიდიან. ძალიან დიდი ფული შემოაქვს სამივლინებო ტურიზმს. მივლინებისას ტურისტები ზამთრის კურორტებზე დღეში 300 დოლარამდე ხარჯავენ. ზაფხულის კურორტებზე კი ჩვეულებრივი ტურისტის ხარჯი 50 დოლარიდან 100 დოლარამდე მერყეობს დღეში. ზამთარში ტურისტის ხარჯი დღეში 200 დოლარს აღწევს. მაგალითად, გუდაურში 800 ევრო ღირს თვითმფრინავის დაქირავება ერთი დღით, მთის მწვერვალიდან გაუკვალავ თოვლში რომ დაეშვათ და ისრიალოთ. მაღალი ფასის მიუხედავად, მოთხოვნა მაღალია. ნოემბერში თუ არ ჩაეწერე, სეზონზე ამ სერვისით სარგებლობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ზამთრის კურორტები ძალიან მომგებიანია და ამ ბიზნესით უნდა დავკავდეთ“,** — განაცხადა ნიკა კვარაცხელიამ.

მისივე თქმით, კარგი ინფრასტრუქტურის შემთხვევაშიც კი საქართველოში ტურისტების რაოდენობა 10 მილიონს ვერ გადააჭარბებს. **„ტურიზმის ექსპორტი ტევად დარგებს მიეკუთვნება. ნორმალური საზღვაო კურორტები რომ გვქონდეს, სოხუმისა და გაგრის ჩათვლით, ტურისტების რაოდენობა გაცილებით გაიზრდებოდა. ტურისტების დათვლა ხშირად სწორად არ ხდება, რადგან ითვლიან იმ ვიზიტიორებსაც, რომლებიც ჩვენთან ღამეს არ ათევენ. 1998 წელს 152 000 საწოლი ადგილი იყო ტურისტებისთვის, ახლა ეს რაოდენობა 35 000-მდე შემცირდა. იმის გამო, რომ ინფრასტრუქტურა განადგურებულია და უფრო მეტი ტურისტის მიღება არ შეგვიძლია. ჩვენ გვყავს ტურისტები ჩამოტარებით, ისე გადიან საქართველოდან, რომ ბორჯომის მონახულებასაც ვერ ასწრებენ და ამას ჰქვია ტურისტი?! ეკონომიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია თანხა, ვიდრე ტურისტების რაოდენობა. რომ ამბობენ, წელიწადში 5 მილიონი ტურისტი შემოდისო და ამ დროს ტურიზმიდან მიღებული თანხა მილიარდ 700 000 ლარს შეადგენს, რა აზრი აქვს ასეთი ტურისტების რაოდენობას?! მაშინ როცა ამ თანხის შემოტანა მილიონ ტურისტსაც შეუძლია,“** — განუცხადა bpn-ს ტურიზმის ექსპერტმა ნიკა კვარაცხელიამ.



**თიკო გურაშვილი**

**⦿ ალიან-ჩალიანი**

## 2015 წლის რთვლის შედეგები შეჯამდა



**დღევანდელი მონაცემებით, 143 167 ტონა ყურძენი გადამუშავდა, განაცხადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე. მინისტრმა 2015 წლის რთვლის შედეგები შეაჯამა და აღნიშნა, რომ ყურძნის რეალიზაციის შედეგად საერთო თანხამ 102 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. „პრაქტიკულად ეს გახლავთ ყურძნის ჩაბარებისა და გადამუშავების ისტორიული მაქსიმუმი. მომავალ წელს, ალბათ, კიდევ უფრო გაზრდილი ციფრი გვექნება, რადგან დარგი ტენდენციურად მზარდია“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.**

**მისივე ინფორმაციით, ღვინის საწარმოებში ყურძენი ჩააბარა 18 000-ზე მეტმა მევენახემ. კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 141 000 ტონაზე მეტი ყურძენი. მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 100 მილიონ ლარს მიაღწია. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონს, აქ გადამუშავდა 1 500 ტონამდე ყურძენი, მათ შორის 1 325 ტონა - ალექსანდროული და მუჯურეთული. სამინისტროს ინფორმაციით, მოსახლეობის შემოსავლებმა 6,6 მილიონი ლარი შეადგინა. ოთარ დანელიამ აღნიშნა, რომ რაჭაში ერთ კილოგრამ ყურძენზე დაფიქსირდა ფასი 5 ლარი, რაც, მისივე შეფასებით, მისასალმებელია, რადგან მაღალმთიან რეგიონს სტიმული და მოტივაცია ესაჭიროება.**

## კომპანიები სახელმწიფო სუფსიდიას მიიღებენ

**კომპანიები, რომლებიც ერთ კილოგრამ არასტანდარტულ მანდარინს არანაკლებ 20 თეთრად შეისყიდიან, 10 თეთრის ოდენობით სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ციტრუსის სეზონის დაწყების თაობაზე ისაუბრა. მინისტრის ინფორმაციით, ციტრუსის მოსავალი წელს, გასულ წელთან შედარებით, 40 პროცენტით მეტია. მისივე ცნობით, პროცესში ჩაერთვება სამიოთხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქარხანა.**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად არჩეულ აკადემიკოსთა ტრიბუნა



### თინათინ სადუნიშვილი

თინათინ სადუნიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ბიოქიმიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო და დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის, ამჟამად სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

1980 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს, სადოქტორო დისერტაცია. 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ინსტიტუტის აზოტის ასიმილაციის ფერმენტების ლაბორატორიას, რომელიც 2011 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაშია; 2009 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2015 წელს კი — აკადემიკოსად.

არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი. კითხულებს ლექციებს ბიოქიმიასა და გამოყენებითი ბიოლოგიური მეცნიერების სფეროში.

თინათინ სადუნიშვილი 200-მდე მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროებია:

- აზოტის მეტაბოლიზმი მცენარეებში. ამონიუმის პირველადი ასიმილაცია.
- აზოტისა და ენერგეტიკული ცვლის ფერმენტები.
- ფიტორემედიაცია. საქართველოს მიკრობული მრავალფეროვნება და ეკოლოგია. ფიტოპათოგენების ვირუსები; მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების საწინააღმდეგო ბიოლოგიური მეთოდები.

სხვადასხვა დროს მიწვეული იყო ბუდაპეშტის ეტვაშ ლორანდის უნივერსიტეტში, ეწეოდა კვლევებს სეგედის ბიოლოგიური ცენტრის ენზიმოლოგიის ინსტიტუტში, ლოურენს ბერკლის ეროვნულ ლაბორატორიაში (აშშ), მეისეის უნივერსიტეტში (იაპონია), მიუნჰენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის ეროვნულ ინსტიტუტში (ტულუზა), მურსიას უნივერსიტეტში (ესპანეთი) და სხვ.

არის ბიოქიმიკოსთა და ბიოტექნოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

# ბიოტექნოლოგიის განვითარება საქართველოში გადაუდებელი ამოცანაა

ბიოლოგიის არნახულმა განვითარებამ მე-20 საუკუნის ბოლოს საგრძნობლად შეცვალა არსებული წარმოდგენები ცოცხალი ორგანიზმების პოტენციალზე. განვითარდა ე.წ. გამოყენებითი ბიოლოგია, რომელიც ეფუძნება თითქმის ყველა ბიოლოგიური დარგის მიღწევებს და რომელსაც განუსაზღვრელი პერსპექტივები აქვს მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული და კვების ინდუსტრიისათვის, ასევე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ბიოტექნოლოგია — ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინტეგრირება ინჟინერულ პრინციპებთან არის ბიოლოგიური სისტემების ან ბიომოლეკულების საშუალებით ადამიანისათვის მნიშვნელოვანი პროდუქტების მიღება კომერციული მასშტაბით. მოწინავე ბიოტექნოლოგიებს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ადამიანის ჯანმრთელობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, უზრუნველყოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ზრდა. ბიოტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელია ახალი სადიაგნოსტიკო საშუალებების, ვაქცინების და სამკურნალო პრეპარატების მიღება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა, ბიომასის, ან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გადამუშავება ღირებულ პროდუქტებად. გარდა ამისა, სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებში ბიოტექნოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ინდუსტრიალიზაციის ელემენტი სოფლად მცირე საწარმოების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას და ადგილზე დამაგრებას.

21-ე საუკუნეში ბიოტექნოლოგიის განვითარების თავისებურება განპირობებულია არა მხოლოდ მისი, როგორც გამოყენებითი მეცნიერების სწრაფი განვითარებით, არამედ იმითაც, რომ ის სულ უფრო ფართოდ იჭრება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და, რაც ყველაზე მთავარია, ქმნის უსაზღვრო შესაძლებლობებს ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგის ეფექტური განვითარებისათვის, ხდება საზოგადოების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობა.

მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ თავის სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა ამოცანა, ტრადიციული ეკონომიკიდან ახალი ტიპის ეკონომიკაზე — ბიოეკონომიკაზე გადასვლა, რომელიც ემყარება ინოვაციებსა და ბიოტექნოლოგიის შესაძლებლობების ფართო გამოყენებას წარმოების სხვადასხვა დარგში, ასევე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მწირი დაფინანსებისა და ურთულესი ახლო წარსულის შედეგია ის, რომ ქვეყანაში, რომელსაც არაჩვეულებრივი პირობები აქვს ბიოტექნოლოგიის განვითარებისათვის, არ არსებობს ბიოტექნოლოგიური წარმოება, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი დარგია და 21-ე საუკუნეც ბიოტექნოლოგიის საუკუნედაა აღიარებული.

საქართველოში ბიოტექნოლოგიის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. მიუხედავად ქვეყნის მცირე ზომისა (69.000კმ$^2$) იგი განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველოში გვხვდება მრავალჯერ განმეორებადი 15 ნიადაგობრივ-კლიმატური ზონა. მცენარეების, მიკროორგანიზმების, მწერებისა და სხვა ცხოველური ორგანიზმების განსაკუთრებული მრავალფეროვნება ენდემიზმის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით ბიოტექნოლოგიის უნიკალური ინსტრუმენტებია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაშია, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ამ ინსტრუმენტთაგან უმნიშვნელოვანესი, სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფის მიკროორგანიზმების კოლექციების შექმნა, რომელშიც ცალკეული მიკრობული შტამების რაოდენობა 10.000 უახლოვდება. კოლექცია მეზოფილებთან ერთად მოიცავს ექსტრემოფილებს — სხვადასხვა ექსტრემალურ პირობებში მზარდ მიკროორგანიზმებს: თერმოფილები, ალკალიფილები, აციდოფილები, ჰალოფილები და ა.შ. ეს არის ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნის განუსაზღვრელი წყარო.

**მარტო მანქანების გამონაბოლქვი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მთელი ტრასის მიმდებარე რეგიონებში მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნას. ეს პრობლემა ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიების გამოყენებით უნდა გადაიჭრას. აღსანიშნავია, რომ ბიოტექნოლოგიის ამ მიმართულებას დასაბამი საქართველოში დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში ჩაეყარა. დამუშავებულია ტექნოლოგიები, რომლებიც მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მიერ ორგანული ტოქსიკური ნაერთების შთანთქმას, დაშლას და გარემოს გაუვნებელყოფას ითვალისწინებს.**

ეს მიკრობები წარმოქმნიან უნიკალურ მეტაბოლიტებს, მათ შორის ფერმენტებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სტაბილობით და აკმაყოფილებენ სამრეწველო მოთხოვნებს. სპეციალურად შერჩეული მიკროორგანიზმებისა და მათ მიერ პროდუცირებული ფერმენტების გამოყენება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში აიაფებს ტექნოლოგიებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არ აზიანებს გარემოს.

ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში დამუშავებულია მრეწველობისთვის მნიშვნელოვანი ფერმენტული პრეპარატების მიღების ტექნოლოგიები. შეიქმნა და ზოგიერთ შემთხვევაში დაპატენტდა სამრეწველო ფერმენტების ალფა-ამილაზის, გლუკოამილაზის, ცელულაზის, ქსილანაზის და სხვათა, სულ 16 ფერმენტის მიღების ბიოტექნოლოგიები. კოლექციების მიცელიალური სოკოების, ბაქტერიებისა და საფუვრების კოლექციების ცალკეული შტამები მათი ბიოსინთეზური, ჰიდროლიზური, გარემოს დამაბინძურებელი ორგანული ტოქსიკანტების გარდამქმნელი უნარის გათვალისწინებით 25-მდე ბიოტექნოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. მათ შორის, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მცენარეული ბიომასიდან ბიოსაწვავის — ბიოეთანოლის წარმოების ტექნოლოგია, რომლის საფუძველზეც დაგეგმილია აშშ-ის მინესოტას უნივერსიტეტთან ერთობლივი პროექტის განხორციელება. ბიოსაწვავის მისაღებად იყენებენ მცენარეულ ბიომასას (ან წყალმცენარეებს), როგორც ერთადერთ განახლებად რესურსს: ფოტოსინთეზის გზით დედამიწაზე ყოველწლიურად120-150 მილიარდი ტონა ნახშირბადის ფიქსაცია წარმოებს. აღსანიშნავია, რომ ბიოეთანოლის წარმოების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი — მალიმიტირებელი ფაქტორი ხელმისაწვდომი ეფექტური, სტაბილური და იაფი ფერმენტული პრეპარატებია. ამიტომ ამ მიმართულებით მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს კვლევები. მცენარეული ბიომასის — ფერმენტული ჰიდროლიზისათვის ფერმენტების შერჩევა და შესწავლა განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გამოყოფილი მიკრობული კოლექციებიდან, საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში, რომლებიც მიმდინარეობდა ლოურენს ბერკლის ეროვნულ ლაბორატორიასთან პარტნიორობით, ამერიკის ენერგიების დეპარტამენტის დაფინანსებით.

ანალოგიური დაფინანსებით განხორციელდა კალიფორნიის უნივერსიტეტთან ერთად რძის ოლიგოსაქარიდებზე მზარდი პრობიოტიკების შესწავლა, რაც მომავალში ახალი პრობიოტიკური პროდუქტების მიღების პერსპექტივებს სახავს.

უაღრესად მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდების (ჰერბიციდები, ინსექტიციდები, აკარიციდები) გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არაა უსაფრთხო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ამავე დროს იწვევს გარემოს დაბინძურებას, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ადამიანსა და ბიომრავალფეროვნებაზე. განვითარებულ მსოფლიოში განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს და ძვირად ფასობს ბუნებრივ პირობებში ქიმიკატების გამოყენების გარეშე მიღებული ე.წ. ბიოპროდუქტი და ორგანული პროდუქტი.

ჩვენ ვსწავლობთ ბაქტერიული ვირუსებით მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების კონტროლის შესძლებლობას. ამ მიზნით გამოყოფილია მაგ. პომიდვრის ბაქტერიული სილაქავის გამომწვევი *Xanthomons vesicatoria* — სპეციფიკური ბაქტერიოფაგი. მისი თვისებების შესწავლის საფუძველზე შექმნილია პრეპარატი, რომელიც, როგორც ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, ეფექტურია პომიდვრის ბაქტერიული სილაქავის პრევენციისა და მკურნალობისათვის. მიმდინარეობს კვლევები სხვა კულტურების (კარტოფილის, ლობიოს) ბაქტერიული დაავადებების საწინააღმდეგო ბიოლოგიური პრეპარატების შექმნის მიზნით.

გარდა ამ მიმართულებებისა, ინსტიტუტში დამუშავებულია ბიოაქტიური ექსტრაქტების, და მათ შორის მცენარეული წარმოშობის საღებავების მიღების ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკვები პროდუქტების და ნართის/ქსოვილების შესაღებად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ისტორიულად აგრარულ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი (40%-ზე მეტი) ეროზირებულია. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური შემადგენლობის ბიოსასუქების გამოყენებით, რომელიც იქმნება ნიადაგის ტიპის და ქიმიური ნაერთებით დაბინძურების (ასეთის შემთხვევაში) გათვალისწინებით. მაგალითისათვის, საქართველოში ჩვენს მიერ გამოყოფილი ჰალოფილური მიკროორგანიზმები, როგორც კომპანია „ინაგროსას“ მიერ წარმოებული ბიოსასუქის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, წარმატებით გამოიყენება ესპანეთში ეროზირებული მიწების გასაუმჯობესებლად.

საქართველო უკვე ასრულებს და მომავალში მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო ფუნქციებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. საქართველოში ერთი ცენტრალური ტრასაა, რომელიც ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებზე გადის და რომელზეც ავტოტრანსპორტის 95%-ზე მეტი გაედინება. მარტო მანქანების გამონაბოლქვი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მთელი ტრასის მიმდებარე რეგიონებში მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნას. ეს პრობლემა ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიების გამოყენებით უნდა გადაიჭრას. აღსანიშნავია, რომ ბიოტექნოლოგიის ამ მიმართულებას დასაბამი საქართველოში დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში ჩაეყარა. დამუშავებულია ტექნოლოგიები, რომლებიც მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მიერ ორგანული ტოქსიკური ნაერთების შთანთქმას, დაშლას და გარემოს გაუვნებელყოფას ითვალისწინებს.

ბიოტექნოლოგიის განვითარება საქართველოში გადაუდებელი ამოცანაა, განსაკუთრებით ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებისათვის.

**თინათინ სადუნიშვილი,**
**აკადემიკოსი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი**

ჩვენი ვალები

# დროებით ნასესხები ფული და მუდმივი თავის ტკივილი

**ბოლო წლებში კომერციული ბანკების მოვალეთა პრობლემა ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის ერთ-ერთი უმტკივნეულესი საკითხია, რომელიც ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ კიდევ უფრო გაამძაფრა. არადა, ამის მიუხედავად, დღე ერთია და მობილური ტელეფონის ყველა მფლობელს რომელიმე ბანკიდან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან უეჭველად მოსდის თითქოსდა „მუქთა“ მოკლე თუ საშუალოვადიანი კრედიტის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უცბად აღების თაობაზე ესემეს-შეტყობინება. ამის გაკეთებას ასევე გვთავაზობენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, განსაკუთრებით მეტროში, გამოფენილი სარეკლამო პლაკატები, რომლებიც თითქმის ყველა ვაგონის ფანჯრებზეა გამოკრული. მართალია, ალბათ, ყველა ზრდასრულმა და საღ გონებაზე მყოფმა კაცმა იცის, რომ „მუქთა ყველი მხოლოდ სათაგურშია“ (თანაც მარტო მეორე თაგვისთვის), მაგრამ ბევრი მაინც ეგება ამ მაცდურ შეთავაზებას, მერე კი რა მოუხერხოს ამ, თვალის ერთი გადავლებით, სარფიანი ვალის გასტუმრებას, აღარ იცის. მაინც რატომაა, რომ ხალხი ჯერ იღებს ამა თუ იმ საფინანსო ინსტიტუტიდან ვალებს, მერე კი მათ დაბრუნებას ველარ ახერხებს?**




მიზეზი, იცოცხლეთ, მრავლადაა: ვიღაცა უმუშევარი დარჩა, ვიღაცას ახლობელი ჰყავს ავად და ძვირად ღირებული მკურნალობა, სხვას ასევე ძვირიანი იურიდიული მომსახურება სჭირდება... ყველაფერ ამის გაგება წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, არა მარტო შესაძლებელია, სავსებით გასაზიარებელიცაა, როცა კაცი იმაზე მეტ ფინანსურ ტვირთს იკიდებს, რომლის მორევის ძალა, ობიექტურად, არა აქვს.

როცა კაცს ბანკისა თუ რომელიმე სხვა საკრედიტო ინსტიტუტის ვალი აქვს და სერიოზულ გარემოებათა გამო ვალის გასტუმრების გრაფიკს აცილებს, თუკი მას პასუხისმგებლობის გრძნობაც აქვს, იგი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ვითარება დაალაგოს და წარმოქმნილი დაძაბულობა განტვირთოს: არ ემალება კრედიტორს, ეხმაურება მის ესემესებსა და სატელეფონო ზარებს, არ ელოდება იმას, თუ როდის მიმართავს უწყება დასახმარებლად შესაბამის ორგანოებს. შემთხვევათა უმეტესობაში (ვიმეორებ, მხედველობაში მყავს მხოლოდ კეთილსინდისიერი მსესხებლები), იგი თავადვე მიმართავს ბანკს და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნას მის თანამშრომლებთან ერთად ცდილობს. და, უნდა ითქვას, საკმაოდ ხშირად ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავლის ნახვა ხერხდება კიდეც: ჩვეულებრივ ბანკები თანხმდებიან გადახდების გრაფიკის შეცვლას, თუმცა კი გარკვეული პირობების დაცვით. მეტიც: ზოგჯერ ისინი ვალის რესტრუქტურიზაციაზეც და, შესაბამისად, კრედიტის გაცემის პირობების შეცვლაზე თანხმდებიან.

აღნიშნული საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ ცოტა ხნის წინათ მასზე ყურადღება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემაც გაამახვილა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ იმ პირობებში როცა სასესხო ტვირთი 30 პროცენტითაა დამძიმებული, კრედიტის ამღებ მოქალაქეს კომერციული ბანკებისთვის თავდაპირველად დადგენილი გრაფიკით გასტუმრება უჭირთ. ამიტომაც საბანკო სექტორი სესხების რესტრუქტურიზაციაზე უკან არ უნდა იხევდეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ისეც ხდება, რომ ბანკიდან კრედიტის აღების აუცილებლობა მავანს არა აქვს, მაგრამ შემპარავი შეთავაზების ცდუნებას აყოლილი მაინც ყოფს თავს მოვალის მგუდავ მარყუჟში.

პრობლემა ისაა, რომ **ვადაგადაცილებული მოკლევადიან საყოფაცხოვრებო საბანკო კრედიტების დიდ ნაწილს ხშირად რეალურ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებთან არავითარი კავშირი არა აქვს. ბევრნი, უმეტესწილად ახალგაზრდები, მათ ნაირნაირი „დახუჭუჭებული“ მობილური ტელეფონების, ათასნაირი სმარტფონის, აიფონის თუ პლანშეტის, კომპიუტერის სათამაშო მისადგამისა და ა.შ. შესაძენად იღებენ. თანაც ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მსგავსი გაჯეტი მავანს უკვე აქვს, მაგრამ მოძველებული მოდელის, სხვის შემხედვარს კი კიდევ სხვა უნდა და მას ნასესხები ფულით ყიდულობს. ასევე ხშირად ვალს იკიდებენ ახალმოდური ჭინჭების შესაძენად, ანდა სულაც კურორტზე დასასვენებლად და დროის გასატარებლად...**

ბანკების თუ სხვა საკრედიტო ორგანიზაციების პოლიტიკა სავსებით გასაგებია — მათ რაც შეიძლება მეტი თანხის გაცემა უნდათ, თუნდაც დაბალი პროცენტით, ოღონდ ფულმა იტრიალოს და ისევ ფული აკეთოს, ამიტომაც აგებენ მავანთ ისეთ უმარტივეს სატყუარაზე, როგორიცაა „უპროცენტო მომენტალური სესხი“, სინამდვილეში კი... თუმცა მუქთა ყველისა და სათაგურის ამბავი უკვე გავიხსენეთ.

ბუნებრივია, რომ კრედიტების არაგადამხდელთა მასა ჭრელია — მათ შორის, ცხადია, არიან პატიოსანი ადამიანები, რომელთა ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა ვალის გასტუმრების არანაირ საშუალებას არ აძლევს, აშკარა თაღლითებიც, რომლებიც სესხის დაბრუნებას თავშივე არც ფიქრობდა, იმის იმედით, აქაოდა, იქნებ შემრჩესო, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმო მაინც ხალხის ის კატეგორიაა, ვინც ვალს იღებს, პირველ ხანებში მის გასტუმრებასაც იწყებს, თუმცა საკუთარი შემოსავლისა და ხარჯის დაბალანსებას ქრონიკულად ვერ ახერხებს, ამიტომაც ძველი კრედიტის გასასტუმრებლად ახალს უკვე სხვა ბანკში (ხშირად რამდენიმეში ერთად!) იღებს, მერე ველარც იქაური გადახდის გრაფიკის დაცვას ახერხებს, და ერთგვარად მონუსხულ წრეზე დადის, რასაც შედეგად საჯარიმო დარიცხვები და, შესაბამისად, მეტი ზარალი მოყვება.

ყოველივე ამას, ცხადია, გამუდმებული ნერვიულობა, სტრესი და, საჭადრაკო ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, „ცაიტნოტი“ და „ცუგცვანგი“ მოყვება, რაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჯანმრთელობაზე, ფსიქიკურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად აისახება.

ამიტომაც, ვიდრე მწირი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე კაცი ერთი შეხედვით „იოლად გასასტუმრებელი სესხის ხაფანგში“ ამოყოფდეს თავს, საკუთარი ფინანსური პოტენციალი საღად უნდა შეაფასოს.

არავის ეგონოს, რომ ამას რაიმე ნიშნის მოგებით ანდა ჭკუის სასწავლებლად ვამბობდე, უბრალოდ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება მუდამ გვახსოვდეს, რომ სხვის ფულს დროებით ვსესხულობთ, საკუთარს კი სამუდამოდ ვაძლევთ.

**ნინო ალექსანდრია**

ფიროსმანობა



## დაუვიწყარი ნიკალა

**რამდენიმე დღის წინათ სოფელ მირზაანში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“ გაიმართა. უამრავ სტუმარს — აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მხატვრებს, პოეტებს, ადგილობრივ გუთნისდედებს გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და თავად ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ანზორ მაძღარაშვილმა.**

სადღესასწაულო პროგრამამ ანშლაგით ჩაიარა. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. ზეიმზე წარმოადგინეს ნაწყვეტები სპექტაკლიდან „ფიროსმანი“ (რეჟისორი — დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი).

აქვე იყო გამოფენილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრები. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო თავად ნიკო ფიროსმანის მუზეუმში. დამთვალიერებლებს შორის ბევრი ცნობილი სახე გახლდათ.

**— „ნიკალა ჩემი შთაგონების წყაროა... მისი შემოქმედება ყველაზე სათნო, მყუდრო და ნათელია, ნიკალამ შეძლო, ჩვენი პატარა ქვეყნის სახელი მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული კუთხით წარმოეჩინა,** — თქვა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა, რომელსაც ამ დღეებში სიღნაღის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

**„ფიროსმანობა“ საოცრად უშუალო, სახალხო დღესასწაულად ჩამოყალიბდა.**

**მარიკა პოპიაშვილი**

პროფესია „სტაიანშიკი“

# პარკირებაში დამხმარენი უკონტროლოდ დგანან ქუჩებში...

**სფერო, რომელსაც, ერთი შეხედვით, არც დამსაქმებელი ჰყავს და არც მაკონტროლებელი, მაგრამ ჰყავს თვითდასაქმებულები, რომლებიც გამოიმუშავებენ თანხას, თავად ადგენენ სამუშაო გრაფიკსა და წესებს. ისინი არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებული.**

მათი ცნობა ადვილია — სალათისფერი ან სტაფილოსფერი ჟილეტებით, მანქანის გასაჩერებელ ადგილებთან დგანან და მძღოლებს პარკირებისთვის ადგილის პოვნასა და მანქანის გაჩერებაში ეხმარებიან. ზოგს აღიზიანებს მათი გამოჩენა და მათ მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე უარს ამბობს, ზოგი კი პირიქით, დახმარებას სთხოვს, როცა პარკირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ ადამიანებს, როგორც წესი, „სტაიანშიკებს“ ეძახიან. თუმცა საინტერესოა, საიდან იღებს სათავეს მათი „პროფესია“, ვინ არის მათი დამსაქმებელი და რამდენია ამ ადამიანების შემოსავალი დღის განმავლობაში?

**მერაბ მიქიაშვილი,** 58 წლისა, უკვე ორი წელია, ამ საქმით არის დაკავებული. როგორც თავად აღნიშნავს, 40 წელი მძღოლად მუშაობდა. ახლა სხვა შემოსავალი არ აქვს და იძულებულია, „სტაიანშიკობით“ ირჩინოს თავი. მისივე თქმით, მანქანის გასაჩერებელი ექვსი ადგილი აქვს ჩაბარებული. დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე პეკინის ქუჩაზე დგას და 50 თეთრის სანაცვლოდ მძღოლების დახმარებას ცდილობს.

**„ზოგი მადლობასაც არ ამბობს, მანქანის მინასაც არ ჩამოწევენ ხოლმე და ისე მიდიან. ყველაზე დიდი თანხა, რაც გადაუხდიათ, 1 ლარია“,** — ამბობს მერაბ მიქიაშვილი.

პასუხი არ აქვს შეკითხვაზე — ვინ განსაზღვრა პარკირების ადგილების რაოდენობა, რომელსაც ის კურირებს. ამბობს, რომ პეკინის ქუჩაზე მანქანის გასაჩერებელი ექვსივე ადგილი წინამორბედისგან ერგო ისევე, როგორც 56 წლის დავით ბუჯიაშვილს.

**დავით ბუჯიაშვილი** „სტაიანშიკობით“ თითქმის სამი წელია ირჩენს თავს. საპენსიო ასაკამდე ჯერ შორია, ამიტომ თავის გასატანად შემოსავალი სჭირდება. პროფესიით ისიც მძღოლია და რადგან ასაკის გამო სამსახურის შოვნა უკვე უჭირს, პარკირებაზე მუშაობა გადაწყვიტა. დილის 10-11 საათიდან საღამოს 8 საათამდე მუშაობს და როგორც თავად ამბობს, დღეში 10- 15 ლარს შოულობს.

**— ერთხელ მოხდა, როცა სომხეთიდან ჩამოსულმა ტურისტებმა 10 ლარი გადაიხადეს. ასეთი რამ შეიძლება წელიწადში ერთხელ მოხდეს,** — ამბობს დავით ბუჯიაშვილი.

დავით ბუჯიაშვილისგან განსხვავებით, დღეში მხოლოდ 5 ლარამდე გამოიმუშავებს **შოთა შონაძე,** რომელიც 55 წლის არის და უკვე 12-13 წელია ამ საქმით არის დაკავებული. როგორც თავად ამბობს, პენსიონერ დედასთან ერთად ცხოვრობს. მათი შემოსავალი დედის პენსია და პარკირების დროს მძღოლების დახმარებით ნაშოვნი ფულია.



**თბილისის მერიაში ადასტურებენ, რომ ამ ადამიანების საქმიანობას მერია არ აკონტროლებს. ასევე არანაირი შეხება არ აქვს ამ საქმიანობას „სი-თი პარკთან“. როგორც „სი-თი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლევან ტაბიძე აღნიშნავს, კომპანიას არ აქვს არანაირი ბერკეტი ან უფლებამოსილება, რომ პარკირებაში დამხმარე ადამიანების საქმიანობა გააკონტროლოს. მაგრამ საინტერესო ის ფაქტია, რომ მთელი თბილისის მასშტაბით, მანქანის გასაჩერებელი ადგილები, ძირითადად, „სი-თი“ პარკს ეკუთვნის და ამ ადგილებში მანქანის გაჩერების უფლების მისაღებად თითოეული მძღოლი გარკვეულ თანხას იხდის. „სტაიანშიკები“ სწორედ იმ ტერიტორიაზე დგანან, სადაც პარკირებისთვის საფასური მძღოლს უკვე გადახდილი აქვს.**

**ქართული რეალობის გათვალისწინებით, სადაც მოწყალების სათხოვნელად გამოსულ ადამიანებსაც კი არაფორმალური მაკონტროლებლები ჰყავთ, საეჭვოა პარკირებაში დამხმარე ადამიანების დამოუკიდებელი საქმიანობა. თუმცა, თავად ამ ადამიანების მიმართ პრეტენზიების საფუძველი, რეალურად არ არსებობს: მათი დახმარებით სარგებლობა ნებაყოფლობითია და მძღოლს შეუძლია დამოუკიდებლადაც გააჩეროს მანქანა და „სტაიანშიკს“ არაფერი გადაუხადოს.**

**თამარ კორკოტაშვილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



Mzia Saganelidze (RFE/RL)

# საქართველო: ნატოს ერთგული თუ მარადისი ასპირანტი?

**თბილისში სტარტი აიღო ორდღიანმა ფორუმმა „სამხრეთი კავკასიის უსაფრთხოება“. მასში რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი. ღონისძიების პირველი დღე მიეძღვნა ევროატლანტიკური უშიშროებისა და ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს.**

სამხრეთი კავკასიის უშიშროების ფორუმის პირველი დღე თითქმის მთლიანად მიეძღვნა საქართველოს და მის დამოკიდებულებას ევროატლანტიკურ პარტნიორებთან. „ევროატლანტიკური უშიშროება: საქართველო – ნატოს ერთგული ასპირანტი აღმოსავლეთიდან“ – ასეთი სათაურით აღინიშნებოდა დღის წესრიგის პირველი პუნქტი. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა გადაწყვიტა დიდი დრო არ დაეთმო ცერემონიისათვის. როდესაც მიმართავდა დამსწრეებს, რომელთა შორისაც იყო ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი, თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ საქართველოს უნდა უფრო მეტი რამ, ვიდრე ნატოს ერთგული ასპირანტის სტატუსი:

**„ჩვენ წარმატებით ვასრულებთ საშინაო დავალებებს და ველოდებით ადეკვატურ პასუხს ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან. ჩვენ ყველას გვჭირდება სტაბილური და მშვიდობიანი ატმოსფერო. საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, მცოცავი ანექსიის პროცესი, ყირიმის ანექსია და მოვლენები უკრაინის აღმოსავლეთში, კონფლიქტი სირიაში, გაძლიერებული ტრანსეროვნული საფრთხეები და ტერორიზმი – მოითხოვენ ცივილიზებული სამყაროსაგან გადაუდებელ ადეკვატურ და გაბედულ გადაწყვეტილებებს. და ჩვენ საქართველოს ვხედავთ ამ თამამი და ადეკვატური გადაწყვეტილების ნაწილად“.**

საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის არგუმენტები საქართველოს უსწრაფესი მიერთების სასარგებლოდ ალიანსთან ამით არ დამთავრებულა. თინა ხიდაშელმა დასავლელი პარტნიორები გააფრთხილა, რომ ამ პროცესის გაჭიანურების გამო „ქართველი ხალხის ოპტიმიზმი შეიძლება ჩაქრეს“, რეალურობა იმდენად მკაცრი რამეა, რომ მომავალი წლის ოქტომბერში, როდესაც საქართველოში არჩევნები გაიმართება, მათზე პოლიტიკოსებს მოუწევთ უპასუხონ ქართველი ამომრჩევლების შეკითხვას: **რატომ არ ღებულობენ საქართველოს ასე დიდი ხნის განმავლობაში ნატოში?**

სხვათა შორის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეკითხვებზე ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის აქვს თავისი პასუხები:

**„თქვენი ყოველწლიური ეროვნული პროგრამა ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა არის ნატოს სტანდარტები. საქართველოს მთავრობა დაბეჯითებით მუშაობს ამ მიმართულებით. მიღწეულია დიდი პროგრესი, თუ ვისაუბრებთ თანამშრომლობის (საქართველოსი ნატოსთან) განვლილი 15 წლის შესახებ. ვფიქრობ, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე ათვითცნობიერებს, თუ რამდენიმე რამეა მიღწეული. მაგრამ, ვიყენებ შემთხვევას, და მინდა ვთქვა: ეს არის ხანგრძლივი შეფასების პროცესი, რაც ნიშნავს, მაგალითად, რომ მთავრობა მუდმივად მუშაობს კარგად, რომ არის დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ნამდვილად თავისუფალი. ეს მეტად მნიშვნელოვანი სტანდარტებია. აგრეთვე ისიც, რომ არჩევნები კარგად ეწყობა“.**

აპატურაიმ ასევე შეგვახსენა, რომ ნატოს საქართველოში მუდმივი წარმომადგენლების არსებობა – ეს არის ზუსტი სიგნალი ალიანსის განზრახვაზე – იყოს საქართველოსთან ახლოს.

და, მართალია, ქართველ მეთვალყურეთა ნაწილი იზიარებს დასავლელი პარტნიორების აზრს იმის შესახებ, რომ საქართველო შორსაა ნატოს სტანდარტებიდან, მიუხედავად ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ იგი შეიძლება აღმოჩნდეს ალიანსის რიგებში, თუ ამისთვის იქნება მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება. ამიტომ არის ოპტიმისტურად განწყობილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ატლანტიკური კავშირის“ წარმომადგენელი მიხეილ დარჩიაშვილი:

**„არის წინაპირობები, რომლებიც საშუალებას აძლევენ საქართველოს, ელოდოს, რომ დეკემბრისთვის დაგეგმილი ნატოს მინისტერიალისათვის, შემდეგ კი ვარშავის სამიტისთვის გადაიდგმება ნაბიჯი წინ ალიანსთან დაახლოების გზაზე. მით უმეტეს, რომ დღეს ფორუმზე ნატოს ქვეყნების ბევრი წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ საქართველოში არის ყველა ინსტიტუტი, რომლებიც დაეხმარებიან მას, მიაღწიოს საბოლოო მიზანს – წევრობას ნატოში“,** – მიაჩნია მიხეილ დარჩიაშვილს.

Эхо Кавказа

## დედამიწის ზურგზე



### „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა სირიის პალმირაში სამ ძველ სვეტზე სამი კაცი მიაბეს და ააფეთქეს

სირიის ადამიანთა უფლებების ზედამხედველობის მონაცემებით, სამი კაცი, რომლებიც ბოევიკების მსხვერპლად იქცნენ, დააკავეს პალმირაში და მის მიდამოებში. ანტიკური ქალაქი პალმირა ძველი ნაგებობებით, რომლებიც აღიარებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებად, მიმდინარე წლის მაისიდან არის „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლქვეშ.

### აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები შევიდნენ სამხრეთ ჩინეთის ზღვის სადავო რაიონში, მიუხედავად პეკინის პროტესტებისა

ამერიკული სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი „ლასენი“ შევიდა სამხრეთ ჩინეთის ზღვის სადავო რაიონის ხელოვნური კუნძულების 12-მილიან ზონაში. პეკინი ადრე მოუწოდებდა ვაშინგტონს, თავი შეეკავებინა ამგვარი ნაბიჯებისგან და კარგად დაფიქრებულიყვნენ, სანამ შექმნიდნენ ინციდენტს ცარიელ ადგილზე.

### ობამას სთავაზობენ, გააფართოვოს ერაყსა და სირიაში აშშ-ის სამხედრო ყოფნა ოპოზიციის დასახმარებლად „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში

ადმინისტრაციისა და პენტაგონის ჩინოვნიკები სთავაზობენ, გაგზავნონ სირიაში მუდმივ საფუძველზე სამხედრო სპეციალისტების შეზღუდული კონტინგენტი, რომლებიც იმუშავებენ ზომიერი ოპოზიციის რაზმებთან და ქურთებთან. რეკომენდაციები ასახავენ სამხედრო მრჩეველთა შეშფოთებას ამერიკის შეერთებული შტატების „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში პროგრესის მიუღწევლობის გამო.

### ზიმბაბვეს ეროვნულ პარკში ბრაკონიერებმა 22 სპილო მოწამლეს

მთლიანად დამნაშავეთა მსხვერპლი ქვეყანაში ოქტომბრის განმავლობაში გახდა 62 სპილო. ყველა მათგანი ციანიდით მოწამლეს. პარკის წარმომადგენელთა სიტყვებით, ბოროტმოქმედები დანაშაულის ადგილიდან დაიმალნენ, თან 3 ეშვი წაიღეს. სპილოების გარდა, ციანიდებისაგან იღუპებიან ეროვნული პარკის სხვა ბინადრებიც.



### კიევი არ გამორიცხავს, რომ რუსეთის კრედიტის დაფარვა შეწყვიტოს

თუ მოსკოვი უკრაინის ვალის რესტრუქტურიზაციაზე უარს იტყვის, კიევი არ გამორიცხავს, რომ რუსეთის მიერ გაცემული კრედიტის დაფარვას შეწყვეტს. ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა გერმანულ გამოცემა Handelsblatt-თან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი მოსკოვმა უკრაინის ექს-პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს „ქრთამის“ სახით გადასცა. საპასუხოდ, იანუკოვიჩმა ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკაზე უარი თქვა.

იაცენიუკის თქმით, კიევი ვალის გადახდას იმ შემთხვევაში შეწყვეტს, თუ მოსკოვთან შეთანხმებას 29 ოქტომბრამდე ვერ მიაღწევს.

### ეგვიპტეში დააპატიმრეს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები, რომლებიც ტურისტულ ობიექტებზე შეტევას აპირებდნენ

უშიშროების სამსახურის მონაცემებით, ექვსი კაცი ჩამოვიდა ეგვიპტეში ლიბიის საზღვრის გავლით ტურისტების სახით. ეგვიპტელმა, რომელიც ღაზში ცხოვრობს, მისცა მათ თავისი მანქანა, რომელზეც ბოროტმოქმედები ეძებდნენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს მომავალი ტერორისტული აქტებისათვის. ეჭვმიტანილები დააკავეს 45 დღით, გამოკვლევის დაწყების მოლოდინში.

### პოლონეთში გამოაქვეყნეს პარლამენტის არჩევნების შედეგები: გაიმარჯვა ექს-პრემიერ კაჩინსკის პარტიამ

პარტიამ „კანონი და სამართლიანობა“ ხმების 37,58 პროცენტი შეაგროვა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა პრემიერ-მინისტრ ევა კოპაჩის ლიბერალური პარტია „სამოქალაქო პლატფორმა“ (24,09 პროცენტი). მესამე გახდა როკმუსიკოს პაველ კუკიზის მოძრაობა (8,81 პროცენტი). სეიმში ასევე შევიდნენ რიჩარდ პეტრუს ახალი ლიბერალური პარტია „თანამედროვე პოლონეთი“ და პოლონეთის გლეხთა პარტია.



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**
**კრედიტი/სესხი** IBRD 8402-GE
**პროექტის** P148048
**დავალების სახელწოდება:** შესყიდვების სპეციალისტი
**კონტრაქტი/ RFP #** SLRPIII/CS/ICS-03
**საიდენტიფიკაციო** SLRPIII PP, პუნქტი No. 37.3

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განსახორციელებლად.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **შესყიდვების სპეციალისტი.**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა'.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,'კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**
- მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
- მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილება მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
- მინიმუმ საბაზისო ცოდნა შესრულებაზე და შედეგზე დაფუძნებული კონტრაქტების მეთოდოლოგიაში/მშენებლობა-პროექტირების კონტრაქტებში;
- გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ (სასურველია მსოფლიო ბანკი) ჩატარებული შესყიდვების პროცედურების/პოლიტიკის ტრეინინგი;
- ინგლისური და ქართული ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის და ანგარიშების მომზადების ძლიერი უნარი;
- სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის MS Office და Internet.

*შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 11 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ. ყაზბეგის #12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**
**Second Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
**Credit / Loan No.** IBRD 8402-GE
**Project No.** P148048
**Assignment Title: Procurement Specialist**
**Contract/RFP No:** SLRPIII/CS/ICS-03
**Reference No.** SLRPIII PP, Item No. 37.3

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Procurement Specialist.**

The estimated duration of assignment is 12 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

**Required Qualification of the Consultant:**
Minimum 5 years of procurement experience in the IFI financed projects;
Minimum 4 years of procurement experience in the World Bank-financed projects;
At least basic knowledge of Output and Performance Based Road Contracting (OPRC) methodology/Design-Build contracts;
Demonstrated procurement training in procurement policies/procedures from one of IFIs (WB preferably);
Fluency in the English and Georgian Languages;
Strong verbal and written communication and reporting skills in English and Georgian;
Proficiency in standard computer applications, including MS Office and Internet;

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: i

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **November 11, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ალიან-ჩალიანი



## თვითმმართველობის კოდექსს შემდგომი დახვეწა სჭირდებაო

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის კოდექსს შემდგომი დახვეწა და განვითარება სჭირდება.**

**ამის შესახებ ივანიშვილმა გუშინ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განაცხადა, სადაც ორგანიზაცია „მოქალაქის" კონკურსის „სტუდენტები თვითმმართველობისთვის" ახალი რაუნდი გაიხსნა.**

**„ამ კანონს სჭირდება შემდგომი განვითარება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და, მუნიციპალიტეტებს მივცეთ იმდენი უფლება, რამდენიც მათ შეუძლიათ, არა ნაკლები და გადაჭარბებაც არ ვარგა", – განაცხადა ივანიშვილმა.**

**მისი თქმით, არაეფექტური იყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვა ცენტრალური ვერტიკალიდან, რასაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი. ექსპრემიერი ხაზს უსვამს, რომ მუნიციპალიტეტები რეგიონში მაქსიმალურად უნდა გააქტიურდნენ.**

**„თვითმმართველობის კანონი განვითარებას ითხოვს სამომავლოდ და იმედი მაქვს, რომ დაიხვეწება. ჩვენ გვინდა ევროპის ქვეყნების მსგავსი კანონი გვქონდეს საბოლოო ჯამში", – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.**

## სამტრედიასა და ზესტაფონში განახლებული სერვისცენტრები გაიხსნა



**საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გუშინ სამტრედიასა და ზესტაფონში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განახლებული სერვისცენტრები გახსნა.**

**„განახლებულ სერვისცენტრებში მოწყობილია კომფორტული მოსაცდელი დარბაზები. ინფრასტრუქტურა მორგებულია თითოეული გადასახადის გადამხდელის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების მომსახურებაზე. გარდა ამისა, გადასახადის გადამხდელებს საშუალება აქვთ, გამოიყენონ სერვისცენტრის თავისუფალი ინტერნეტსივრცე და შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისებით ისარგებლონ. სერვისცენტრები ფუნქციონირებს „ერთი ფანჯრის" პრინციპით, რაც ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელთა ხარისხიან, სწრაფ და კვალიფიციურ მომსახურებას", – ნათქვამია განცხადებაში.**

კრივი

# ევროპის პირველობის თურქული პრელუდია



**საქართველოს ცხრა წარმომადგენელი მონაწილეობდა 1997-1998 წლებში დაბადებულ მოკრივეთა სტამბოლის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში. ისინი 14 ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა სპორტსმენებს უწევდნენ კონკურენციას საპრიზო ადგილებისთვის.** ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა (მწვრთნელები — ბეჟან ჭიჭინავა, ილია ტლაშაძე, არტურ ბურდიანცი, მსაჯი კოტე ბერძენიშვილი) თურქულ რინგზე ხუთი სხვადასხვა სინჯის მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი ესკერხან მადიევი (64 კგ): მან ზედიზედ დაამარცხა ტალჰა პოლატი (თურქეთი), ფარვიზ გულიევი (აზერბაიჯანი), ჰეიდარ უნლუ (თურქეთი), ახალგაზრდებში უნგრელი ევროპის პრიზიორი მარკ კონტრეში და პირველი ადგილი დაიკავა. ოქროს მედლამდე ერთი გამარჯვება დააკლდა რუსთაველ ნიკოლოზ ბეგაძეს (91). მან სამ მეტოქეს აჯობა — იორდანიელ ალი ჯამალიგალევს, თურქებს — რასიმ დარგინსა და მუჰამეტ აიდინს, ფინალში კი უზბეკ ბიტზონ ტოხუროვთან წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ბრინჯაოს მედლები ხვდათ ჭიათურელ ნოდარ დარბაიძეს (49), გორელ რატი ტლაშაძესა (81) და გარდაბნელ გიორგი ზურაბიანს (+91), რომლებმაც მეოთხედფინალში, შესაბამისად, ქაან ტაბარუ (თურქეთი), ზიიად ეშაიში (იორდანია) და ჰუსეინ კაგლარი (თურქეთი) ჩამოიშორეს გზიდან, მაგრამ ნახევარფინალში ოტაბეკ ხოლმატოვთან (უზბეკეთი), ტუნგუთ მედეთოღლუსა (თურქეთი) და პეტერ კადირუსთან (გერმანია) ვერაფერს გახდნენ. გუნდურში საქართველოს ნაკრები თურქებისა და უზბეკების შემდეგ მესამე იყო.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები ახლა თბილისში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 19 ნოემბრიდან პოლონეთში თანატოლთა ევროპის პირველობაში მოსინჯავენ ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეთა ნაკრები.**

ფეხბურთი

# ელიტრაუნდის მისადგომებთან



**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურში რუმინეთს დიდი ანგარიშით — 3:0 სძლია და უკანასკნელი ტურის წინ მეორე ადგილზეა (გოლები სპანდერაშვილმა, ჩაკვეტაძემ და ნინუამ გაიტანეს).**

მომდევნო ეტაპზე, ანუ ელიტრაუნდში საკვალიფიკაციო ჯგუფის ორი საუკეთესო გადის, ასე რომ, გოჩა ავსაჯანიშვილის გუნდს ელიტრაუნდში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. ხვალ მესამე ტურში ქართველი 17-წლამდელები საკვალიფიკაციო ჯგუფის მასპინძელ უნგრეთს დაუპირისპირდებიან. მადიარებმა სლოვაკეთთან ფრედ 1:1 ითამაშეს.

**გიორგი შოთაძე**

# მოურინიოს ბედს მომდევნო 15 დღე გადაწყვეტს



**ჟოზე მოურინიოსა და ლონდონის „ჩელსის" გზები შესაძლოა გაიყაროს. როგორც ინგლისური მედია წერს, პორტუგალიელი სპეციალისტი შაბათს „ლივერპულთან" დამარცხების შემთხვევაში უმუშევარი დარჩება. თუმცა, იმავე გამოცემების ინფორმაციით, მოურინიოს ნდობა მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ექნება და თუ „ჩელსი" თამაშის გაუმჯობესებას ვერ მოახერხებს, მაშინ "განსაკუთრებულს" დაითხოვენ.**

„ჩელსი" ჯერ ინგლისის ლიგის თასზე „სტოკ სიტის" ეთამაშება, შემდეგ პრემიერლიგაში — „ლივერპულს", ერთი კვირის თავზე ჩემპიონთა ლიგაზე — კიევის „დინამოს", ხოლო 7 ნოემბერს „სტოკს" უკვე პრემიერლიგაში გაეჯიბრება. სწორედ ზემოხსენებული 4 თამაშის შედეგი გადაწყვეტს მოურინიოს ბედს.

ისე კი, „არისტოკრატები" წლეულს ერთობ უხარისხოდ თამაშობენ და პრემიერლიგაში 10 ტურში უკვე 5 მარცხი დაუგროვდათ, რის გამოც მათთვის შეუფერებელ მე-15 ადგილზე არიან. „ჩელსი" კარგად ვერც ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს და 3 ტურში მხოლოდ 4 ქულა აქვს. ლონდონური გრანდი ბოლოს „ვესტ ჰემთან" 1:2 დამარცხდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# დამარცხდნენ, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნეს

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში „აია" „არმიასთან" დამარცხდა, რომელსაც მანამდე მოგება არ ჰქონდა, მე-7 ტურში კი რიონისპირელებმა წლევანდელი გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ჯიქს" თავიანთ მოედანზე აგემეს პირველი მარცხი.**

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — იოსებ კიკვიძემ მოედნის ცენტრიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 3:0. შემდეგ „ჯიქი" გააქტიურდა და მალევე ხარაზიშვილმა უნაკლო დარტყმით წონასწორობა აღადგინა — 3:3. პირველი ტაიმის მიწურულამდე „აიამ" ერთი ლელო (გარდასახვა გაუცუდდათ) და ერთი საჯარიმო გაიტანა — 11:3. შესვენების შემდეგ მატჩის სადავეები სტუმრებმა იგდეს ხელთ, პაექრობის მიწურულს ლელოც გაიტანეს, მაგრამ მოსაგებად დრო აღარ ეყოთ და მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს, თუმცა, გათამაშების ცხრილში პირველი საფეხური მაინც შეინარჩუნეს.



**VII ტური**

**„აია"-„ჯიქი" 11:8**

**„აია":** მოდებაძე, კიკვიძე, მანაგაძე, სინაურიძე, არაბიძე, ჯინჭველაშვილი, თუთბერიძე; მატარაძე (რატიაშვილი, 41), მატკავა, წაქაძე (გ. ტორაძე, 41), ა. ჩიტეიშვილი, გ. ჩიტეიშვილი, რევიშვილი, დ. ლოსაბერიძე (სალდაძე, 52), არეშიძე.

**„ჯიქი":** კიკნაძე (ნადირაძე, 53), დევსურაშვილი, ხუციშვილი, ჯინჯიხაძე, ხარაზიშვილი, ნინიძე, ზაბახიძე; კაკოვინი (ჯინჭარაძე, 50), მამრიკიშვილი (ორაგველიძე, 41), გურგენაძე (ჩირგაძე, 58), გოგოლიძე, შენგელია (ტრაპაიძე, 62), ტუჩაშვილი (ტუხაშვილი, 70), მჭედლიშვილი, თხელიძე (დიდებულიძე, 72).

**დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „არმაზი" — „აკადემია" 6:20, „ბათუმი" — „ლელო" 18:17, „ხარები" — „არმია" 15:11, „ყოჩები" — „ლოკომოტივი" 24:17.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქი | 7 | 6 | 0 | 1 | +65 | 27 |
| ბათუმი | 7 | 5 | 0 | 2 | +15 | 22 |
| აია | 7 | 4 | 1 | 2 | +19 | 20 |
| ლელო | 7 | 4 | 1 | 2 | +18 | 19 |
| ყოჩები | 6 | 4 | 0 | 2 | +24 | 18 |
| ლოკომ. | 6 | 3 | 0 | 3 | +10 | 15 |
| აკადემია | 7 | 3 | 0 | 4 | -31 | 14 |
| არმია | 7 | 1 | 1 | 5 | -26 | 10 |
| ხარები | 7 | 1 | 0 | 6 | -61 | 6 |
| არმაზი | 7 | 0 | 1 | 4 | -33 | 4 |

**VIII ტური.** „აკადემია" — „ლოკომოტივი", „ლელო" — „ყოჩები", „არმია" — „ბათუმი", „ჯიქი" — „ხარები", „არმაზი" — „აია".

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

# თავაშვებული ბიანკა

**თავისი არაორდინარულობით ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის პოლ გასკოინის გერი ბიანკა გასკოინი, რომელიც პოლის გვარს ატარებს, თამამ ფოტოგადაღებებს ბოლო დროს ნამეტნავად გაუშინაურდა. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ბიანკამ ახალი წინადადებაც მიიღო და ეროტიკულ ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს.**

ბრიტანეთში ამბობენ, რომ პოლ გასკოინი დაჭკვიანდა და მხიარული და ექსტრაორდინარული ყმაწვილის ნაცვლად დღეს დინჯ, მრავლისმნახველ ბიძაკაცს ვხედავთ. თუმცა, გასკოინის მშფოთვარე ცხოვრებას მისი გერი აი ასეთი უცნაური გზით აგრძელებს.

ასევე ცნობილი გახდა ისიც, რომ ბიანკა გასკოინი ეროტიკულ ფილმში თამაშისათვის საკმაოდ დიდ ჰონორარს — 1 მილიონ ინგლისურ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ამას გარდა, მისი შემოსავალი ფილმის წარმატების შესაბამისად გაიზრდება, რაც ამ ახალგაზრდა ქალისათვის დამატებითი სტიმული უნდა იყოს.

**როსტომ რაჭველიშვილი**



წლის აღმოჩენა

# ეს უკვე აღიარებაა

**მსოფლიო რაგბიმ ახალი ჯილდო, „წლის აღმოჩენა" დააწესა და 2015 წლის მსოფლიო თასის დებიუტანტ მორაგბეთაგან ნომინანტები დაასახელა. ნომინაციაში გამარჯვებული 1 ნოემბერს, თვიქენჰემზე, მსოფლიო რაგბის ყოველწლიურ დაჯილდოებაზე გამოვლინდება.**



წლევანდელ მსოფლიო თასზე ბევრმა ახალგაზრდა მორაგბემ გამოიჩინა თავი და თითოეულ მატჩზე საკუთარი კვალი დატოვა. ამ პრესტიჟულ ნომინაციაზე სამი მორაგბეა წარდგენილი - შოტლანდიელი შუამარბი მარკ ბენეტი, ახალზელანდიელი ფრთის მოთამაშე ნეჰე მილნერსქადერი და „ბორჯღალოსანთა" ცხრა ნომერი ვასილ ლობჟანიძე.

ნომინანტებზე ავსტრალიელთა ლეგენდამ, 1999 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებულმა ჯორჯ გრეგანმა განაცხადა: „სამივე ნომინანტი წლევანდელ მსოფლიო თასზე სხვადასხვა კუთხით გამოირჩეოდა. მათი დებიუტი არაჩვეულებრივად შედგა და უდიდესია თითოეული მათგანის წვლილი იმაში, თუ როგორ წარდგნენ მათი გუნდები ამ მსოფლიოზე. სამივე მათგანი დაწესებული ჯილდოს ღირსეული კანდიდატია, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვებული მხოლოდ ერთი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ სამივე მორაგბეს ძალიან წარმატებული მომავალი აქვთ — არა მხოლოდ საკუთარ გუნდებში და ქვეყნებში, არამედ ზოგადად მსოფლიო რაგბიში. მოუთმენლად ველი მათი კარიერის განვითარებას".

ამ ახალი ჯილდოს კრიტერიუმების მიხედვით ნომინანტს უმაღლეს სანაკრებო დონეზე 1 წელზე მეტ ხანს არ უნდა ეთამაშა. ნომინანტები დამოუკიდებელმა ჟიურიმ შეარჩია, რომლის წევრებიც არიან: „ვოლაბთა" ყოფილი ცხრა ნომერი ჯორჯ გრეგანი, „პუმების" ყოფილი კაპიტანი ფილიპე კონტიპომი, სპორტული ჟურნალისტები სტეფან ჯოუნზი, სარა მოკფორდი და ჯიმ კეისი.

ყველაზე ახალგაზრდა 9 ნომერს ტესტ-დებიუტი 2015 წლის „რაგბი ევროპის" ჩემპიონატზე 7 თებერვალს გერმანიის წინააღმდეგ ჰქონდა და ძალიან მალე დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი „ბორჯღალოსანთა" რიგებში. მისი სახელი მსოფლიო თასის ისტორიაში მაშინ ჩაიწერა, როდესაც C ჯგუფის პირველ მატჩში საქართველო ტონგას დაუპირისპირდა და 18 წლის მორაგბე ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მორაგბის სახელით შევიდა სარბიელზე. ლობჟანიძემ ჯგუფის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და მისი დიდი ძალისხმევით „ბორჯღალოსნებმა" 2019 წლის მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება საკვალიფიკაციოს გარეშე მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ლობჟანიძემ პირველი აღიარება 4 თვით ადრე, მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ალაფაზე საუცხოო თამაშითა და მოგებით მოიპოვა.

**კობა კობახიძე**

## ◉ კითხული კაცის აზრი

# ზოოპარკი „ბინას“ იცვლის...

## მაგრამ ვარგა კი საამისოდ შერჩეული „სამოსახლო“ ადგილი?

**სადღეისოდ ერთ-ერთი აქტუალურია დედაქალაქის ზოოპარკის გმირთა მოედნიდან თბილისის ზღვაზე გადატანის საკითხი. დამერწმუნეთ, პატივცემულო მკითხველო, ეს სულაც არ გახლავთ ჩვეულებრივი, „ისე რა“ საკითხი. ამდენად ზოოლოგიური ბაღისთვის ახალი ადგილის შერჩევა, მისი მომავალი, ეკოლოგიის, ტრანსპორტისა და უამრავი სხვა სკითხი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს.**

**წინამდებარე მასალა მარტო საკუთარ მოსაზრებებსა და ემოციებზე რომ არ ამეგო, თემასთან დაკავშირებით კომენტარი, რომ იტყვიან, საქმეში ჩახედულ პროფესიონალს, გეოლოგ პაატა თვალაძეს ვთხოვე:**

— ზოოპარკი გმირთა მოედნიდან რომ გადასატანია, ეს სადაო ნამდვილად არ არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საამისოდ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევა აშკარა შეცდომაა: თბილისის ზღვის წყალს ხომ სასმელად თუ საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის დაახლოებით 350-400 ათასი მოსახლე მოიხმარს. **მას შემდეგ კი, რაც ზღვის მიდამოებში 500 ათას კვადრატულ მეტრზე ზოოპარკი გაშენდება და ამოქმედდება, ის მთელი წყალსაცავის ერთ-ერთ უმთავრეს დამბინძურებლად გადაიქცევა.** თავადვე განსაჯეთ: ამხელა ტერიტორიაზე განთავსებულ მრავალრიცხოვან ცხოველსა და ფრინველს ათასნაირი სახეობის საკვები დასჭირდება, რაც იქ აუარება მღრღნელს გააჩენს. ვირთაგვების ერთი წყვილი კი წლის განმავლობაში 100 ათასზე მეტ შთამომავალს იძლევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჭამის შემდეგ ისინი წყალს სად დალევენ? რა თქმა უნდა, ზღვას მიადგებიან, საიდანაც რამდენიმე ასეული ათასი კაცი სასმელ წყალს იღებს...

მეორე საკითხია ცხოველთა და ფრინველთა დახურული თუ ღია ვოლიერების დასუფთავება. სად წაიღებენ, ნეტავ, ამხელა ნაგავს? ნუთუ იქვე, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ მხარეს, ივრის არხის მახლობლად ახალ ნაგავსაყრელზე, ახლა რომ აშენებენ დედაქალაქის მესვეურნი?

კიდევ ერთი პრობლემაა გარეული ფრინველები. იქ, სადაც მათთვის ადვილად მოსაპოვებელი საკვები იქნება, რის კომფორტს მათ ზოოპარკი აუცილებლად შეუქმნის, ისინი, ბუნებრივია, დღევანდელზე გაცილებით ინტენსიურად მომრავლდებიან. მათი ფეკალიებიც ხომ ასევე ზღვის წყალში მოხვდება?



**ასეთია, ზოგადად, ის ზოგიერთი მიზეზი, რომელთა გამო, დარწმუნებული ვარ, ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანა არაფრით არ შეიძლება.** ჩემი ეს და ზოგიერთი სხვა მოსაზრება, რომელთა შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი, ჩამოვაყალიბე და თბილისის მერს **დავით ნარმანიას** ელექტრონული ფოსტით მივაწოდე.

სავსებით ბუნებრივია, რომ ერთი კაცი, რაგინდ განათლებული და გონიერიც უნდა იყოს იგი, ყველა საკითხში ერთნაირად კარგად გარკვეული ვერ იქნება, სწორედ ამიტომ ჰყავს მერიას ამდენი სამსახური თავის ხელმძღვანელებითურთ. ამიტომაც საკითხში გარკვევა ბატონმა ნარმანიამ მერიის გამწვანებისა და ეკოლოგიის სამსახურის ხელმძღვანელს **ბიძინა გიორგობიანს** დაავალა. ყველა ზემოთ მოყვანილი არგუმენტი ბატონ გიორგობიანს რომ ავუხსენი, ერთიც დავუმატე. კერძოდ კი ის, რომ ზედ თბილისის ზღვის თავზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი საჰაერო დერეფანი გადის. თვითმფრინავების ძრავები მუშაობისას 150 დეციბელის სიმძლავრის ხმაურს გამოსცემენ, ადამიანებისა და ცხოველებისთვის კი სტრესის მისაღებად 40 დეციბელიც საკმარისია. თანაც ეს, შესაძლოა, სმენის დაქვეითების მიზეზიც გახდეს. ზღვის თავზე თვითმფრინავები დაბალ სიმაღლეზე დაფრინავენ, ამიტომ მათი ძრავების ხმაური დედამიწამდე 100 დეციბელის სიმძლავრით მაინც აღწევს. იქაური მცხოვრებლები იმასაც კი ამბობენ, თვითმფრინავების ძრავების ხმაურის გამო ქათმები კვერცხს არ დებენო. ჰოდა, ყველაფერი ეს ბატონ გიორგობიანს ერთიანად რომ ვუთხარი, იცით რა მიპასუხა მერიის „მთავარმა ეკოლოგმა?“ — ეგ ხმაური ბევრს არაფერს ნიშნავს, თბილისის აეროპორტი ლონდონის ჰიტროუ ხომ არ არის, დღე-ღამის ყველა მონაკვეთში რამდენიმე ათეული თვითმფრინავი ჯდებოდეს და ფრინდებოდესო..

კი, მაგრამ, დიდად პატივცემულო ბატონო გიორგობიანო, ხვალ და ზეგ ქვეყანა წინ რომ წავა, სატვირთო და სამგზავრო ავიაგადაზიდვები რომ გაიზრდება, მერე რა ვქნათ, ზოოპარკი კიდევ ერთხელ გადავიტანოთ? თუ იმ დროისთვის დაკავებულ თანამდებობაზე აღარ იქნებით და ახლა რა გენაღვლებათ?

თქვენ იქნებ ეგ არ იცით, მაგრამ **მსოფლიოს არც ერთ დიდ ქალაქში ზოოპარკი არ არის განთავსებული ისეთი წყალსაცავის სიახლოვეს, საიდანაც მოსახლეობა სასმელ წალს იღებს.**

სხვას თავი რომც დავანებოთ, თავის დროზე თბილისში, მდინარე ნატახტრის ის ნაწილი, სადაც დედაქალაქის დიდი ნაწილის სასმელი წყლით მკვებავი სათაო ნაგებობაა, საგანგებოდ იყო შემოღობილი, მის ტერიტორიაზე შესასვლელად სპეციალური ნებართვა იყო მისაღები. ჰოდა, როცა იქ სტუდენტები პრაქტიკაზე დამყავდა, რათა საკუთარი თვალით ენახათ, თუ როგორ იცავენ სასმელი წყლის სათაო ნაგებობას, სანიტარიულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის მიზნით ყველას... თეთრ ხალათებს გვაცმევდნენ, რათა იქაურობა უნებლიეთ არ დაგვებინძურებინა. აი, ასე უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სასმელ წყალს.

ბატონ გიორგობიანს ეს ამბავი რომ მოვუყევი, ამაზეც „კოხტად“ მიპასუხა: — მერე რა, ახლა თბილისის ზღვაზე რომ გაიაროთ, წყალში ჩაწოლილ საქონელს ბევრს ნახავთო. მე გავოცდი: — ასე მსჯელობა როგორ შეიძლება, თუკი ასეთ რამეს შეესწარით, იქაური დაცვისთვის უნდა მიგემართათ და უმსგავსობა აღგეკვეთათ, როგორ შეიძლება სახელმწიფო მოხელემ ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტს გულგრილად ჩაუაროს-მეთქი? თანაც ამ ლაპარაკს ზოოპარკის დირექტორის მოადგილეც ესწრებოდა, რომელიც ბატონ გიორგობიანს კვერს უკრავდა...

აი, ასეთია დღესდღეობით ვითა-



რება და ის მთავარი მიზეზები, რომელთა გამო, ვფიქრობ, ყველამ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ზოოპარკი თბილისის ზღვაზე არ გადაიტანონ, ვინაიდან საფრთხეები, რომელთა შესახებ მოგახსენეთ, სავსებით რეალურია.

ყველაფერ ამასთან ერთად, უაღრესად საგულისხმო ისაა, რომ **დედაქალაქში ზოოპარკის ახალი ადგილსამყოფელისთვის არაჩვეულებრივი ალტერნატიული ტერიტორიაა ლისის ტბის ჩრდილოეთი მხარე.** ეს ისეთი ადგილია, სადაც ზოოპარკისთვის ყველა საჭირო კომუნიკაციის აგება ისე შეიძლება, რომ ხელი არავის შეეშლება, არც სასმელი წყალი დაბინძურდება, ცხოველებსაც თვითმფრინავების ძრავების ხმაური არ შეაწუხებს. თან ტერიტორიის შემოღობვაც სრულიად მარტივად და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ძალიან იაფად შეიძლება. ზოოპარკის თბილისის ზღვის მიმდებარედ გადატანის შემთხვევაში, მარტო ღობის შემოვლებას დაახლოებით 5 მილიონი ლარი დასჭირდება, ლისის ტბაზე კი შესაძლებელია ბუნებრივი ბარიერის, მთის ფერდობის ძირში, მსუბუქი, გამძლე რკინის ბადის შემოვლება, რომელშიც სუსტი დენი იქნება გაშვებული, რის გამო მას არც ერთი ცხოველი ვერ მიეკარება.

აღნიშნული ტერიტორიის ზოოპარკისთვის გამოყენება იმ სიკეთესაც მოიტანს, რომ ამ შემთხვევაში ლისის ტბის სამხრეთ ნაწილის ინფრასტრუქტურული განვითარება, სადაც ახალი იპოდრომია გაშენებული, გაცილებით სწრაფი ტემპით წარიმართება.

თანაც, თბილისის ზღვისგან განსხვავებით, ლისის ტბასთან მისადგომი მეტი გზაა, გარდა ამისა, თავისუფლად შეიძლება საბურთალოდან ძველი საბაგირო გზის აღდგენა. იქაურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე ისიცაა, რომ ტბის შემოგარენში მაღალდებიტიანი, 54-გრადუსიანი თერმული წყლები ამოდის, რომელთა გამოყენება, ყველა სხვა სიკეთეს, ვთქვათ ჰიგიენურს, თავი რომ დავანებოთ, ვოლიერების გასათბობად გამოყენება შეიძლება.

ბოლოს იმის თქმა მინდა, რომ **ზოოპარკის ახალი ადგილსამყოფელის დადგენისას, მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებოლბა (ცხადია, ჩამოთვლილი საფრთხეების გათვალისწინებით) ყველა იმ უწყების ხელმძღვანელებმა უნდა იტვირთონ, ვისაც მისი მართებულობა მოეთხოვება — იქნება ეს თბილისის მერია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თუ სხვათა ხელმძღვანელებმა.**

საუბრის ბოლოს ბატონმა პაატა თვალაძემ საკუთარი არგუმენტაცია ერთგვარად თეზისებად ჩამოაყალიბა, რომლებსაც ავტორისეული რედაქციით გთავაზობთ:

**1. ზოოპარკის თბილისის ზღვაზე განთავსებასთან დაკავშირებით, თბილისის მერიას დედაქალაქის საზოგადოების აზრი არ უკითხავს: არ ჩაუტარებია შესარჩევი კონკურსი, რომელიც სპეციალისტებს ალტერნატიული ვარიანტების განხილვის შესაძლებლობას მისცემდა, ვთქვათ, ან ლისის ტბის მიდამოებში, ან თბილისი-რუსთავის ზონაში კრწანისის ტყე-პარკის გაყოლებაზე და სხვ.**

**2. არსებული ინფორმაციით, თბილისის მერიას არ ჩაუტარებია, ყოველ შემთხვევაში, საჯარო განხილვის საგნად არ უქცევია ზოოპარკისთვის თბილისის ზღვაზე გამოყოფილი ტერიტორიის სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ფართობის, ცალკეული ზონების სპეციფიკის, საორიენტაციო ღირებულების და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით. თანაც, თბილისის ზღვის მიმდებარედ 500 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია სპონტანურად იქნა შესყიდული.**

**3. მერიამ ასევე არ შეისწავლა ამ ზონაში ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებანი, მათ შორის, გაბატონებული ქარების მიმართულება, ოროგრაფიული პირობები, გამწვანებული ზონების განლაგება და სხვ.**

**4. გაუთვალისწინებელია ასევე ევროპის ქვეყნებში მიღებული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. ზოოპარკისთვის ახალი ადგილის გამოყოფისას საჭირო იყო წყალსაცავის დაბინძურების, თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი საჰაერო ზონიდან მომავალი ხმაურისა და სხვა საფრთხეების გათვალისწინება.**

**5. სათანადოდ არ იყო გააზრებული ახალ ზოოპარკთან მისასვლელად მოხერხებული სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის პირობები.**

**ასეთი გახლავთ საქმეში ჩახებული კაცის კონკრეტული მოსაზრებები ზოოპარკის თბილისის ზღვაზე განთავსების, ამ გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტებისა და ა. შ. შესახებ. ბევრს, მათ შორის თბილისის მერიის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სხვა უწყებების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, შესაძლოა, განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. რედაქცია მზად არის ყველა მსურველს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა მისცეს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯუმბერ ჩიხლაძის მეუღლე ქალბატონი

**ჯულიეტა**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

## ◉ ინფორმაცია

### „ფეისბუქმა“ სამხრეთი ოსეთის ე.წ. სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის ანგარიში დაბლოკა

„ფეისბუქმა“ ოკუპირებული სამხრეთი ოსეთის ე.წ. სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის „ოფიციალური“ ანგარიში დაბლოკა. ამის შესახებ „სპუტნიკ-ოსეტია“ იტყობინება.

სოციალური ქსელის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ე.წ. უშიშროების კომიტეტი ანგარიშის ნაცვლად ჯგუფს შექმნის.

„გატყობინებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ფეისბუქის“ ჩვენი ანგარიში დაიბლოკა. სოციალური ქსელის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ამჟამად ვმუშაობთ ჩვენი ანგარიშის ჯგუფად გადაკეთებაზე“, — აცხადებენ ე.წ. უშიშროების კომიტეტში.

როგორც „სპუტნიკ-ოსეტია“ იტყობინება, აღნიშნულ გვერდზე ე.წ. უშიშროების კომიტეტის საქმიანობის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია.

### შსს-მ რუსთავში ბინის ქურდობის ფაქტი აღკვეთა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთავში ბინის ქურდობის ფაქტი აღკვეთა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, უწყების ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძიებო ღონისძიებების შედეგად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვალერი ს, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ფ, 1990 წელს დაბადებული ზოსიმე ზ, 1991 წელს დაბადებული სულიკო შ. და 1996 წელს დაბადებული ბადრი ზ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებულები რუსთავში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ც. ქ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის გაქურდვას ცდილობდნენ. პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები — 2 ლეპტოპი და ბინის პატრონის სამკაულები ნივთმტკიცებად ამოიღო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

⦿ ჩვენი კარაბადინი

# საშინელება

## როგორ აფუჭებენ გარეგნობას საყვარელი საგნები და ნივთიერებანი

**საგნები და ნივთიერებანი, ურომლისოდაც ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება, დღითი დღე აფუჭებენ ჩვენს გარეგნობას. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საკმარისია, უბრალოდ, ვისწავლოთ მათი სწორი გამოყენება.**

### მობილური ტელეფონი



**მეცნიერებმა გამოიკვლიეს მობილური ტელეფონები მათ ზედაპირზე არსებული ბაქტერიების ოდენობის თვალსაზრისით. გამოირკვა, რომ საშუალო სტატისტიკური სმარტფონის ეკრანზე მიკრობები 18-ჯერ მეტია, ვიდრე უნიტაზის სახელურზე. ასე რომ, თუ ვერ შეეჩვიეთ იმას, რომ თუნდაც დრო და დრო გაასუფთაოთ თქვენი მობილური ტელეფონი, იგი შეიძლება მუწუკების გაჩენის მიზეზი გახდეს.**

სხვათა შორის, გარეგნობას ზიანს აყენებენ არა მხოლოდ მიკროორგანიზმები, რომლებიც სმარტფონის კორპუსზე ცხოვრობენ, ცუდი სამსახური შეიძლება გაგვიწიოს ეკრანიდან კითხვის ნამეტანმა გატაცებამ. როდესაც ვუმზერთ მობილურის ეკრანს ზევიდან ქვევით, ლოყების კანი ჩამოგვეშვება, კისერზე კი ჩნდება ულამაზო ნაოჭები.

### ბალიში



**ძილი ძალიან მაღალ ბალიშზე შეიძლება მეორე ნიკაპის გაჩენის მიზეზი გახდეს. ამიტომ მათ, ვინც შეეჩვია ძილს ზურგზე წოლით, არ უნდა აირჩიონ 15 სანტიმეტრზე მეტი სისქის ბალიში.** სხვათა შორის, გარეგნობის გაუარესების რისკს ეწევიან ისინი, ვინც შეეჩვია ძილს მუცელზე წოლით. ჯერ ერთი, როდესაც თავს ბალიშში ჩარგავთ, კანი ჟანგბადის უკმარისობას განიცდის, რამაც შეშუპება შეიძლება გამოიწვიოს. მეორეც, ასეთ პოზას მივყავართ იმასთან, რომ სახე თითქოს იცვლება, რამაც შეიძლება ნაოჭების გაჩენა დააჩქაროს.

### წიგნი

**თუ გიყვართ წიგნის კითხვა დაწოლილს, ელოდეთ ნაოჭების გაჩენას კისერზე. სამწუხაროდ, იქ კანი ძალიან ნაზია, ამიტომ მიმიკური ნაოჭები ამ ადგილზე ჩნდება პირველ რიგში.** ხოლო თუ შეეჩვიეთ კითხვას სიბნელეში ან არასწორად განათებულ ადგილას, ნაოჭები ჩნდება არა მხოლოდ კისერზე, არამედ თვალის გარშემოც. რომ ჩაიხედოთ დაწერილში, ხომ მუდმივად უნდა ჭუტავდეთ თვალებს.

### მანდილოსნის ჩანთა



**თუ თქვენს ჩანთაში არის ყველაფერი აუცილებელი, მათ შორის ქოლგაც, აფთიაქიც, სარეზერვო ფეხსაცმელიც, სქელი წიგნიც, თქვენი წარმოსადეგობა დაზარალდება.** ასე რომ, ნუ დაივიწყებთ ჩანთის გადატანას ერთი ხელიდან მეორეში, ან გადაიტანეთ იგი ერთი მხრიდან მეორეზე.

### საკვები კრემი

**ყველაზე საუკეთესო კრემმაც კი შეიძლება ზიანი მოგაყენოთ, თუ მას ძალიან აქტიურად გამოიყენებთ. არ ღირს კრემის სქელ ფენად დადება — ასეთი ფენის ქვეშ კანი არ სუნთქავს, მაშასადამე, მოსალოდნელია შეშუპების, სილურჯის გაჩენა თვალებს ქვევით და კანის არაჯანსაღი ფერი. ზედმეტი კრემი აუცილებლად უნდა მოვიცილოთ ხელსახოცით.**

სხვათა შორის, კრემი შეიძლება აღმოჩნდეს სახიფათო მცირე დოზითაც — თუ იყენებთ სასინჯებს მაღაზიაში. ტესტერებში უამრავი მიკრობია, ამას გარდა, მათ ხშირად არასწორად ინახავენ და რახან ასეა, დიდია მუწუკების გაჩენის, კანის ანთებისა და სიწითლის ალბათობა.

### მჭიდრო ტანსაცმელი

**მას მივყავართ შეშუპებებთან, სისხლის შედედებასთან და ლიმფებთან.** ხოლო თუ არ მეგობრობთ სპორტთან და არ შეგიძლიათ დაიტრაბახოთ მაგარი კუნთებით, ზედმეტი სითხე დაგროვდება უჯრედებს შორის სივრცეში, რაც აუცილებლად მიგვიყვანს ცელულიტის გაჩენასთან.

### მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები

**მაღალ ქუსლებს ფეხებში სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან მივყავართ, ამიტომ ასეთი ფეხსაცმლის მოყვარულებს ხშირად უჩნდებათ სისხლძარღვთა ვარსკვლავები, ზოგჯერ კი ვენების ვარიკოზული გაფართოება.**



ამას გარდა, ასეთი ფეხსაცმლის ტარება ხშირად ხელს უწყობს განივი ბრტყელტერფიანობის განვითარებასა და დიდი თითის სახსრების დეფორმაციას, რაც ასევე არაა ძალიან ლამაზი. და კიდევ, მოუხერხებელი ფეხსაცმელი შეიძლება გახდეს ფრჩხილების ჩაზრდის მიზეზი — და მაშინ ლამაზი პედიკიური დროებით უნდა დავივიწყოთ.

დასკვნა მარტივია: ყოველდღიური ხმარებისათვის განკუთვნილი ფეხსაცმელი არ უნდა იყოს 5 სანტიმეტრზე მეტი სიმაღლისა.

### ცხელი წყალი

**ცხელი წყალი, განსაკუთრებით მძაფრი სუნის საპონთან შეხამებაში, კანიდან ხსნის ლიპიდურ ფენას, ხდის მას მეტად მშრალს არასასიამოვნო გარეგნული ფაქტორების — ქარის, მზის ან სიცივის — წინაშე. შედეგად შეიძლება გაჩნდეს ნაოჭები, სიწითლე და აქერცვლა.**

ასევე ძალიან არ უნდა გაგვიტაცოს ორთქლისა და კონტრასტულმა აბაზანებმა. თუ სისხლძარღვები განლაგებულია კანის ზედაპირის სიახლოვეს, ასეთმა პროცედურებმა შეიძლება ულამაზო ვარსკვლავების გაჩენა გამოიწვიოს.

### თმის რეზინები და სამაგრები

**როდესაც ძალიან იჭიმავთ თმებს, თქვენ აუცილებლად აზიანებთ მის ზედაპირს.** თანაც მაღალი და მჭიდრო ვარცხნილობა არღვევს თავის კანის სისხლის მიმოქცევას, რის შედეგადაც თმის ბოლქვები ვერ ღებულობენ საკვებ ნივთიერებებსა და ჟანგბადს. ამიტომ თმების სამაგრებისა და რეზინებისადმი ძალიან დიდმა სიყვარულმა შეიძლება გრუზა თმების არსებით შეთხელებასთან მიგვიყვანოს.



### შაქარი და მარილი

**ტკბილეულის ზედმეტი ოდენობა არღვევს გამომუშავებას კოლაგენისა და ელასტინისა — განსაკუთრებული ცილებისა, რომლებიც კანს ხდიან მოქნილს, არ აძლევენ სახის კონტურებს ჩამოკიდების საშუალებას და იცავენ მას ნაოჭების გაჩენისაგან.**

ხოლო რაციონში მარილის ზედმეტი ოდენობა იმუქრება სითხის შეჩერებით, ზრდის თვალების ქვემოთ შეშუპებისა და ცელულიტის გაჩენის ალბათობას.

ЗДОРОВЬЕ

**ყურადღება!**

**დიდ დიღომში,** „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**ყურადღება!**

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

⦿ კადრი



⦿ ცინცხალი ანეკდოტები

**გემი იძირება. პეტკა ხალხის რიგებს მიარღვევს და კარჭაპისკენ იკვალავს გზას.**

**— მოითმინეთ, ბატონო, გემზე კიდევ დარჩნენ ქალები, — უყვირის მას მეზღვაური.**

**— თავი დამანებე, კაცო, სექსის თავი მაქვს ახლა?**

* * *



**— დედი, მართალია, რომ ყოველ ბავშვს მამა უნდა ჰყავდეს?**

**— მართალია, შვილო.**

**— მაშინ რატომაა, რომ ჩვენს ოჯახში სამი ბავშვია, მამა კი მხოლოდ ერთი?**

* * *

**— მე კი სწორედ გამგზავრების წინ მიღალატა ცოლმა.**

**— როგორ?**

**— გინდათ, რომ გაჩვენოთ როგორაც?**

* * *

**კრიმინოლოგია — ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მახეში გაბმულ, უიღბლო დამნაშავეებს. იმ მეცნიერებას კი, რომელიც იღბლიან დამნაშავეებს შეისწავლის, სულ სხვა სახელი — პოლიტოლოგია ჰქვია.**

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323

ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობული 599 36-00-35

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე